

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და  
კულტურის სამინისტრო

**რუსიფიკატორული პოლიტიკა და  
ეთნოლინგვისტური ვითარება  
აფხაზეთში  
XIX – XXI ს.ს.**



გამომცემლობა „ანიცარსალი“  
თბილისი 2011

რედაქტორი –

**ლევან ესათია**

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და  
კულტურის მინისტრის მრჩეველი

© ლ. ესათია, 2011

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2011

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)

ISBN 978-9941-17-330-1

## სარჩევი

<b>რედაქტორისაგან .....</b>	<b>4</b>
<b><i>თეიმურაზ გვანცელაძე</i> – ორი დიდი ქართველი აფხაზოლოგი .....</b>	<b>9</b>
<b><i>მერაბ ნაჭყებია, მანანა ტაბიძე</i> – ომის შემდგომი აფხაზეთის ეთნიკურ-ენობრივი სიტუაცია .....</b>	<b>23</b>
<b><i>ირაკლი გელენავა</i> – აფხაზეთში რუსიფიკატორული პოლიტიკის ისტორიისათვის .....</b>	<b>35</b>
<b><i>ნონა შონია</i> – რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკა ოკუპირებულ გალის რაიონში .....</b>	<b>61</b>
<b><i>თეიმურაზ გვანცელაძე</i> – აფხაზეთი და რუსული იმპერიული პოლიტიკა .....</b>	<b>79</b>

## რედაქტორისგან

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია ცნობილი მეცნიერების: თეიმურაზ გვანცელაძის, მანანა ტაბიძის, მერაბ ნაჭყებიას, განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანამშრომლების: ირაკლი გელენავას, ნონა შონიას ნაშრომები, საიდანაც, ჩვენი აზრით, მკითხველი მიიღებს მისთვის საინტერესო ინფორმაციას ცარისტულ-კომუნისტური და თანამედროვე რუსული იმპერიის მიერ აფხაზეთში წარმოებულ რუსიფიკატორულ პოლიტიკაზე, ამ პოლიტიკის ანტიქართულ, ანტიაფხაზურ არსზე, აქედან გამომდინარე, საქართველოს ამ კუთხეში შექმნილ საგანმანათლებლო და ეთნოლინგვისტურ ვითარებაზე; იმ საფრთხეებზე, რასაც უქმნის იმპერიალისტური პოლიტიკა ქართველთა და აფხაზთა ეროვნულ თავისთავადობას, იდენტობას; ქართველ მოღვაწეთა წვლილზე აფხაზური ენისა და კულტურის განვითარებაში და სხვ.

მკითხველს ვთავაზობთ, აგრეთვე, მოკლე სარედაქციო წერილს და სტატისტიკურ მონაცემებს აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობასა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელზე.

### **ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები აფხაზეთში 1992-1993 წლების ომამდე და ომის შემდეგ**

სკოლების რაოდენობას ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში განსაზღვრავს მოსახლეობის რიცხოვნობა, თუ კი კანონმდებლობით გათვალისწინებულია ყველა მოზარდისათვის საშუალო განათლების ხელმისაწვდომობა.

1992-1993 წლების ომამდე, როგორც მთელ საქართველოში, ასევე მის მრავალეთნიკურ რეგიონშიც – აფხაზეთშიც

სკოლების ქსელი ადეკვატური იყო მოსახლეობის რაოდენობისა. თვალსჩინოებისათვის მოვიტანთ 1989 წელს ჩატარებული აღწერის სტატისტიკურ მონაცემებს (მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე: „აფხაზეთის (გალის რაიონის) სოციოლინგვისტური დახასიათება“, 2010 წ. გვ. 46) და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროში არსებული მასალების მიხედვით ჩვენს მიერ შედგენილ ცხრილს ომამდე აფხაზეთში ფუნქციონირებად სკოლებზე:

	მოსახლეობა სულ	აფხაზი	ქართველი	რუსი	სომეხი	სხვა ეროვნებები
აფხაზეთი - სულ:	525 061	93 267	239 872	74 914	76 541	40 467
ქ. სოხუმი	119150	14922	49460	25739	12242	16787
ქ. ტყვარჩელი	21744	9202	5086	5321	337	1798
გაგრის ზონა	77079	7028	21575	18690	22854	6932
გუდაუთის რ-ნი	57534	30541	7699	7741	8857	2696
სო ხუმის რ-ნი	39516	1996	17526	2858	11617	5519
გულრიფშის რ-ნი	54962	1311	29014	7646	13878	3113
ოჩამჩირის რ-ნი	75388	27640	34800	4439	6226	2283
გალის რ-ნი	79688	627	74712	2480	530	1339

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები აფხაზეთში ომამდე

№	ქალაქი, რაიონი	სულ	ქართული	აფ ხაზური	რუსული	სომ ხური	ქართულ-რუსული	რუსულ-აფ ხაზური	ქართულ-აფ ხაზური	ქართულ-რუსულ-აფ ხაზური	ქართულ-რუსულ-სომ ხური
1	ქ. გაგრა	25	7	4	7	7	-	-	-	-	-
2	გუდაუთის რ-ნი	38	2	19	1	7	-	7	2	-	-
3	ქ. სო ხუმი	21	5	2	7	1	6	-	-	-	-
4	სო ხუმის რ-ნი	18	7	1	-	6	2	-	-	1	1
5	გულრიფშის რ-ნი	53	31	-	4	11	7	-	-	-	-
6	ოჩამჩირის რ-ნი	48	11	24	2	3	7	-	-	1	-
7	ქ. ტყვარჩელი	11	3	-	1	-	3	2	2	-	-
8	გალის რ-ნი	58	52	-	3	-	2	-	-	1	-
9	სულ აფ ხაზეთში	272	117	50	25	35	27	9	4	3	1
10	არასრული საშ. სკოლები	30	17	1	2	9	1	-	-	-	-
11	დანყებიითი სკოლები	28	17	4	4	3	-	-	-	-	-
12	სკოლა – ინტერნატები	7	2	3	2	-	-	-	-	-	-
13	ყველა სახის სკოლა ერთად	337	154	57	33	47	28	9	4	3	1

ეს სტატისტიკური მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ ომამდელ აფხაზეთში, როგორც სკოლების საერთო რაოდენობა, ასევე მათი გრადაცია სწავლების ენის მიხედვით, შესაბამისობაში იყო მოსახლეობის ეთნიკურ შემადგელობასთან.

რა მოხდა აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ?

მას მერე, რაც რუსეთის ფედერაციამ ომის შედეგად მოახდინა აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაცია და განახორციელა იქ ეთნიკური წმენდა, დღის წესრიგში დადგა საკუთარ

მინა-წყალსა და სახლ-კარში თვითნებურად შინ დაბრუნებული გალელი ქართველების შევიწროება, მათი ეროვნული თვითდენტიფიკაციის შესუსტება, აფხაზური და რუსული პასპორტების მიღებაზე, საქართველოს მოქალაქეობის უარყოფაზე დაყოლიება. ეს პროცესი ახლაც შეუჩერებლად მიმდინარეობს დღევანდელ აფხაზეთში.

რუსიფიკატორული პოლიტიკის მესვეურებმა კარგად უწყიან, რომ ეთნიკური ასიმილაციის მისაღწევად ეფექტური ხერხია მოქალაქისათვის მშობლიური ენის ნაცვლად რუსული ენის თავსმობხვევა, მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღების ნაცვლად სკოლებში რუსულ ენაზე სწავლების შემოღება. ამიტომაც 1992-93 წლების ომის დამთავრებისთანავე, გალის რაიონის გამოკლებით, ოკუპირებულ აფხაზეთის ყველა დანარჩენ ქალაქსა და სოფელში ქართული სკოლები დაიხურა, ხოლო ოდითგანვე ქართველებით დასახლებული გალის რაიონის ქართული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების უმრავლესობა რუსულ სკოლად გადაკეთდა, დარჩენილ ქართულ სკოლებშიც იზღუდებოდა მშობლიურ ენაზე სწავლება (უფრო ვრცლად იხ. ამავე კრებულში ნ. შონია). 2008 წელს რუსეთის მიერ აფხაზეთის სრული ანექსიის შემდგომ კიდევ უფრო გამძაფრდა აღნიშნული ტენდენცია მაშინ, როცა არანაირი ობიექტური საფუძველი არ არსებობს აქ რუსული სკოლების რაოდენობრივი დომინირებისათვის, რადგან დღესაც გალის რაიონის ძირითადი მოსახელობა ქართველებია. თვით სეპარატისტული ხელისუფლების დემოგრაფიული მონაცემებით (გაზეთი „ეხო აფხაზი“ №14, 5 აპრილი 2005 წ.) გალის რაიონში ცხოვრობს 28 919 ქართველი, 121 აფხაზი და 159 რუსი, სხვა ეროვნების მოქალაქეთა საერთო რიცხვია 78.

ასე, რომ თუ ომამდე აფხაზეთში იყო 192 (წმინდა ქართული და მრავალ სექტორიანი სკოლების ქართული სექტორების საერთო რაოდენობა) ზოგადსაგანმანათლებლო ქართული სკოლა, დღეს ოფიციალურად ფუნქციონირებს მხო-

ლოდ 10. ამდენად, მშოლიურ მიწაზე უფლებობდ მცხოვრებ ქართველთა უმრავლესობას წართმეული აქვს მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღების უფლებაც.

პატრიოტი გალელი პედაგოგების მცდელობა, აკრძალვის მიუხედავად, დიდი რისკის ფასად, ქართული სახელმძღვანელოებით ასწავლონ მოზარდებს დედაენაც და სხვა საგნებიც, მნიშვნელოვნად ვერ ცვლის სიტუაციას.

ოკუპირებული აფხაზეთის, როგორც ქართველი, ასევე აფხაზი მოსახლეობა მიზანმიმართული რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად ეთნიკური გადაგვარების აშკარა საფრთხის წინაშე დგას.

ამ საფრთხეებისა და აფხაზეთში შექმნილი ეთნოლინგვისტური ვითარების ანალიზს ეძღვნება ზემოთდასახელებულ ავტორთა ნაშრომები.



## თეიმურაზ გვანცელაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

### ორი დიდი ქართველი აფხაზოლოგი

შესრულდა ორი გამორჩეული ქართველი აფხაზოლოგის საიუბილეო თარიღები: **წლეულს მეცნიერისა და განმანათლებლის პეტრე ჭარაიას დაბადების 150 და აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის დაბადების 100 წლისთავია.** ორივე მეცნიერს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მეცნიერული აფხაზოლოგიის განვითარების მეტად საპატიო საქმეში და თუკი დღეს აფხაზური ენა მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენათაგან ერთ-ერთ ყველაზე უკეთ გამოკვლეულ ენად მიიჩნევა, ამაში დიდია ამ ორი გამორჩეული მოღვაწის დამსახურება.

მეცნიერული აფხაზოლოგიის განვითარება XIX საუკუნეში იწყება:

– 1845 წელს გერმანელმა ენათმეცნიერმა გეორგ როზენმა ბერლინში გამოსცა აფხაზური ენის პირველი მოკლე გრამატიკული მიმოხილვა;

– 1862 წელს გენერალმა პეტრე უსლარმა შექმნა დამწერლობა აფხაზური ენისათვის და გამოაქვეყნა აფხაზური ენის უფრო სრული გრამატიკული ნარკვევი;

– თბილისში რუსულ ენაზე გამომავალ სხვადასხვა კრებულში («Сборник сведений о кавказских горцах», «Материалы для описания местностей и племен Кавказа», «Кавказский календарь»), აგრეთვე ქართულ და რუსულ პრესაში («დროება», «ივერია», «კვალი», «აკაკის კრებული», «Кавказ») დაიწყო ბეჭდვა აფხაზური ფოლკლორის ნიმუშებისა და ეთნოლოგიური სპეციფიკის ამსახველი მასალებისა და ა.შ.

ქართველი მოღვაწეები იმთავითვე მონაწილეობდნენ აფხაზური ენისა და კულტურის მეცნიერულ კვლევაშიც და

საგანმანათლებლო სისტემაში აფხაზური ენის დანერგვის საქმეშიც. კერძოდ:

– 1862 წელს “კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ” შექმნა კომისია აფხაზური საანბანო სახელმძღვანელოს შესადგენად. კომისიას თავმჯდომარეობდა გენერალი ი. ბარტოლომეი, ხოლო წევრები იყვნენ: დ. ფურცელაძე და ვ. ტრიროგოვი. კომისიას აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად კონსულტაციას უწევდა აფხაზური ენის მცოდნე პრაპორშჩიკი გიორგი ქურციკიძე;

– აფხაზური ენის მეორე საანბანო სახელმძღვანელო შეადგინეს კონსტანტინე მაჭავარიანმა და დიმიტრი გულიამ. წიგნი გამოიცა 1892 წელს. მისი შედგენის ინიციატორი კ. მაჭავარიანი იყო;

– წმინდა წერილის აფხაზურ ენაზე თარგმნის მიზნით 1892 წელსვე სოხუმის საეპარქიო საბჭოსთან ეპისკოპოს კირიონ საძაგლოშვილის ინიციატივით შეიქმნა მთარგმნელობითი კომიტეტი, რომლის ერთ-ერთი წევრი კ. მაჭავარიანი იყო. მოგვიანებით კომისიაში ქართველი განმანათლებელი და მეცნიერი პეტრე ჭარაიაც მიუწვევიათ...

პეტრე ჭარაია (1861-1919 წწ.) დაიბადა და ცხოვრების უდიდესი ნაწილი გაატარა ამჟამინდელი ოჩამჩირის რაიონის აფხაზურ სოფელ ეშქითში, სადაც მან ბავშვობაშივე სრულყოფილად შეისწავლა აფხაზური ენა, გაეცნო აფხაზურ ფოლკლორსა და ეთნოგრაფიულ თავისებურებებს. იგი წლების განმავლობაში ასწავლიდა აფხაზ ბავშვებს აფხაზურ და ქართულ ენებს.

აფხაზური ენის სრულყოფილად ცოდნა პ. ჭარაიას ხელს უწყობდა, წარმატებით ეკვლია ეს ენა. მან მიზნად დაისახა, ერთი მხრივ, გაესწორებინა გ. როზენისა და პ. უსლარის მიერ აფხაზური ენის სტრუქტურის აღწერისას დაშვებული შეცდომები და, მეორე მხრივ, საფუძველი ჩაეყარა აფხა-

ზური და ქართული ენების გენეტიკური ნათესაობის პრობლემის ღრმა მეცნიერული კვლევისათვის, რაც მაშინ დაწყებულიც კი არ იყო. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პ. ჭარაიამ წარმატებით გადაჭრა ორივე ამოცანა საგანგებოდ დაწერილ ნიგნში («ОН отношении абхазского языка к яфетическим»), რომელიც დასკვნისათვის პეტერბურგში გადაუგზავნა მაშინ უკვე აღიარებულ ენათმეცნიერს, პროფ. ნიკო მარს. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი აგდებულად მოეკიდა “პროვინციელი ავტორის” ნაშრომს და მთელი 18 წლით ჩაკეტა იგი თავისი სანერი მაგიდის უჯრაში. ნ. მარს პ. ჭარაიას ნაშრომი მხოლოდ მაშინ მოაგონდა, როცა თვითონ დაინტერესდა აფხაზური ენის მეცნიერული კვლევით და 1912 წელს გამოაქვეყნა იგი, მაგრამ გამოქვეყნებაცაა და გამოქვეყნებაც – ნაშრომი მეტად უცნაურად გამოიყურება: ნიგნის რედაქტორი ნ. მარი უხეშად ერევა ავტორის მსჯელობაში და იქვე ედავება ავტორს (ხშირად, სრულიად უსაბუთოდ!). მიუხედავად ამისა, პ. ჭარაიას ნაშრომმა გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება და დღემდე არ დაუკარგავს დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან მასში პირველად იქნა დასაბუთებული აფხაზური და ქართული ენების საერთო წარმომავლობა კონკრეტული ენობრივი მასალის სწორი მეთოდოლოგიური ანალიზის საფუძველზე.

ამ ნიგნში პ. ჭარაია მაღალ აკადემიურ დონეზე განიხილავს აფხაზური ენის ბგერით შემადგენლობას, სიტყვათა ფორმის მცვლელ აფიქსებს და ცალკეულ სიტყვათა დიდ ჯგუფს, ადგენს მათ მიმართებას ქართული ენისა და განსაკუთრებით მეგრულ-სვანური დიალექტების შესაბამის ერთეულებთან. პ. ჭარაია იყო ის პირველი ენათმეცნიერი, ვინც მართებულად დაინახა აფხაზური და ქართული ენების გასაოცარი მსგავსება თვალშისაცემი სხვაობის ფონზე. ამაში მას ხელი შეუწყო აფხაზური ენის მაღალ დონეზე ცოდნამ – იგი “ენის შიგნიდან” ხედავდა აფხაზურის ბუნებასა და სტრუქტურ-

რას; მას ასევე ეხმარებოდა თანდაყოლილი ლინგვისტური ნიჭიცა და ფართო განათლებაც (იგი ბრწყინვალედ ერკვეოდა იმდროინდელი ზოგადი ენათმეცნიერების, განსაკუთრებით გერმანული ნატურალიზმის მიღწევებში).

პეტრე ჭარაია მრავალმხრივი ინტერესების მქონე მეცნიერი იყო: აფხაზურ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა გარდა, იგი იკვლევდა ქართულ ენას, მის დიალექტებს (განსაკუთრებით მეგრულს, რომელსაც ქართული ენის ისეთსავე კილოდ თვლიდა, როგორცაა ფშაური, ხევსურული და სხვა დიალექტები), შედგენილი აქვს მეგრულის 2 საკმაოდ სრული ლექსიკონი, აგროვებდა და ქართულ პრესაში (“ივერია”, დროება”, “კვალი”, “ისარი”, “განათლება”...) აქვეყნებდა აფხაზური ფოლკლორის ნიმუშებს, სამეცნიერო ნაშრომებს აფხაზთა რწმენა-წარმოდგენებისა და ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ და ა.შ.

პ. ჭარაიას ეთნოგრაფიული მემკვიდრეობიდან აფხაზოლოგიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წერილების ციკლი “აფხაზეთი და აფხაზნი”, რომელიც 1888 წელს დაიბეჭდა გაზეთ “ივერიას” 12 ნომერში (ეს წერილები მიმდინარე წელს ცალკე წიგნად გამოიცა “კავკასიური ეტიუდების” რუბრიკით ნ. ანთელავასა და ჩვენი რედაქციით). ამ მასალას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მასში დაკვირვებული თვითმხილველის მიერაა აღწერილი ის რწმენა-წარმოდგენები და ადათ-წესები, რომელთა უმრავლესობაც დღეს უკვე აღარ დასტურდება აფხაზთა შორის და ამ ჩანაწერების გარეშე სრულიად უკვალოდ იქნებოდა დაკარგული. სანიმუშოდ მოვიყვანთ ზოგიერთ ქვესათაურს ამ მასალებიდან: აფხაზი; ხასიათი აფხაზისა; ძარცვა, თავდასხმა და ქურდობა; მჭევრმეტყველება; სისხლის ძიების საქმე; სამშობლოს სიყვარული; სტუმართმოყვარეობა, დარბაისლობა და სალამი; ფორმალისტობა, ნამუსი და სარგებლობა; საერო თამაშობანი და სახალხო პოეზია; ყოფა-ცხოვრება აფხაზთა; ოჯახი; ქალის

მდგომარეობა; გაზრდა, გაზრდილი, გამზრდელი; ცოლის შერთვის წესი აფხაზეთში; მიცვალებულის დატირება; რელიგიური რწმენანი აფხაზთა და ა.შ.

პ. ჭარაიას გულით უყვარდა მოძმე აფხაზი ხალხი, სტკიოდა მისი სატკივარი და უხაროდა მისი სიხარული. იგი იზიარებდა დიდი ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოსაგრეთა პროგრესულ შეხედულებებს, ცდილობდა, თავისი ღირსეული წვლილი შეეტანა აფხაზურ-ქართულ კულტურულ ურთიერთობებში. მას შესანიშნავად ესმოდა, რომ თუ მესამე ძალა შეძლებდა ამ ორი მოძმე ხალხის ურთიერთობაში უნდობლობისა და მტრობის დანერგვას, სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა თითოეული მათგანის მომავალს.

პ. ჭარაიას ეს პოზიცია ცნობილი იყო რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისათვის, ამიტომ მას ყოველნაირად ავიწროებდნენ და ხელს უშლიდნენ. საამისო მაგალითად გამოდგებოდა აფხაზეთში მოღვაწე კიდეე ერთი გამორჩეული ქართველის, აკად. ს. ჯანაშიას მამის ნიკო ჯანაშიას მიერ მოყვანილი შემდეგი ფაქტი:

სოხუმის ეპისკოპოსმა, წმ. კირიონმა (საძაგლიშვილმა) 1892 წელს წამოჭრა საკითხი აფხაზურ ენაზე წმინდა წერილის თარგმნის აუცილებლობისა და ამ მიზნით საგანგებო მთარგმნელობითი კომისიის შექმნის შესახებ. ამ დროს უკვე მიმდინარეობდა მუშაობა პ. უსლარის მიერ რუსული გრაფიკის (ასოთა მოხაზულობის) საფუძველზე შედგენილი დამწერლობის დასახვეწად. როგორც ჩანს, ახალ აფხაზურ დამწერლობაზე მომუშავე კ. მაჭავარიანსა და დ. გულიაზე მიმდინარეობდა ზენოლა, რათა მათ აფხაზური დამწერლობის საფუძველად არ აერჩიათ ქართული გრაფიკა (სხვათა შორის, თვით პ. უსლარიც აცხადებდა, რომ ქართული გრაფიკა სრულყოფილია და სრულიად გამოსადეგია კავკასიის უდამწერლობო ენებისათვის ახალი ანბანების შესაქმნელად, მაგრამ თუკი ამას დავეუშვებთ, პრობლემებს შევიქმნით კავკასიაში რუსული

ენის გავრცელების, ე.ი. გარუსების საქმეში). ამ საკითხზე ნ. ჯანაშია წერდა: “აქ შავრაზმელობამ გამოჰყო თავი და ეს წმინდა საქმე შუღლისა და მტრობის ჩასათესად იხმარეს: “აი, ხედავთ, როგორ მზრუნველობას ვიჩენთ თქვენზე, ხოლო ამაში ხელს გვიშლიან ქართველები, რომელთაც თქვენი ჩაყლაპვა სურთ”, გაიძახიან ყოველ ნაბიჯზე. ამ მიზნითვე ამ კომისიაში, – რომელიც თარგმნის საღმრთო წერილს აფხაზურ ენაზე, არ მიიწვიეს არცერთი ისეთი პირი, რომელსაც ასე თუ ისე შესწამეს ქართველთადმი მიდრეკილება... გარდა ამისა, აქ მოიპოვება იმისთანა ქართველნიც, ზოგი მათგანი აფხაზთა ენის ზედმიწევნით მცოდნეა, რომელნიც დიდს და დაუფასებელ სამსახურს გაუწევდნენ ამ შემთხვევაში აფხაზთ. მე აქ ვასახელებ ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილს პეტრე ჭარაიას, რომელმაც ზედმიწევნით იცის აფხაზური ენა და თანაც ლინგვისტური მომზადებაც აქვს, გარნა, სამწუხაროდ, სათოფეზედაც არ მიიკარეს იგი, აქაო და ქართველიაო. უშულის ქართველობა ამაში რასმეს? რა თქმა უნდა, არა. ქართველებს თავის ზურგზე ძალიან კარგად გამოუცდიათ, თუ რა არის ეროვნული დევნა, და ეს მწარე გამოცდილება თავმდება იმისი, რომ თითონ არ იკისრებს იმავე ჯალათის როლს, მერე ჯალათის არა ერთი ადამიანის, არამედ მთელის ხალხისას! და, რამდენადაც საქმესთან გაცნობილი ვარ, ჯერ არც ერთს ქართველს არ უთქვამს: “აფხაზნო, ნუ გინდათ საკუთარი მწერლობა, ჩვენი იკმარეთო!” პირიქით, ეპ. კირიონს არ დააცალეს, თორემ უნდოდა სერიოზულად მოეკიდა ხელი ამ საქმისთვის”.

რატომაც არ მიაღებინეს მონაწილეობა პ. ჭარაიას აფხაზური დამწერლობის რეფორმისა და ამ ენაზე წმინდა წერილის თარგმნის საქმეში, სრულიად ცხადი გახდება, თუ გავეცნობით მეცნიერის შემდეგ მოსაზრებას:

“აფხაზური ენა იმდენად მდიდარია სხვადასხვა ბგერებით, რომ ის უსლარმაც ვერ შენიშნა, რადგან ვერც ერთი

ალფავიტი, მათ შორის რუსულიც, ვერ გამოხატავს ამდენ ბგერას. ამიტომ აფხაზური ანბანის შედგენაში საფუძვლად უნდა მიეღოთ ქართული ანბანი, რადგან ქართული ენა ბგერათა სისტემის მხრით ყველაზე მეტად უახლოვდება აფხაზურს... მაგრამ მაშინ გაავრცელეს აფხაზებს შორის ხმა: ქართველებს უნდათ, მოგისპონ ენა და ეროვნებაო, იმათა სურთ თქვენი გაქართველებაო. ასეთის ცრუ მოწმობით და ქადაგებით იმდენად მოიხიბლა და გაფანატიკოსდა ზოგი, რომ ღვთის წყალობა რომ გეთქვა, ღვთის წყრომად ჩაგითვლიდნენ... თუ აფხაზები დაფიქრდებიან იმაზე, თუ რას უქადის მათ ქართველებთან კავშირის განყვეტა და მიიღებენ აფხაზურ წერა-კითხვის ახლად შექმნილ ქართულ ანბანს [იგულისხმება ქართული გრაფიკის საფუძველზე შესადგენი საანბანო სახელმძღვანელო – თ.გ.], რომელიც, როგორც ბ-ნი ი. გოგებაშვილი გვახსენებს, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში აფხაზურიც იყო და რომელიც ყველაზე უფრო შეესაბამება აფხაზური ენის ზმებს, მაშინ ქართველებიც ძმურად ხელს გაუწვდიან მათ და შეძლებისამებრ დახმარებას გაუწევენ აფხაზური წერა-კითხვის შემოღების საქმეში. მაგრამ რადგან პოლიტიკანების ზემოქმედებით, ეს მათ [აფხაზებმა – თ.გ.] არ ინებეს, ასეთ გარემოებაში ქართველებს დარჩენიათ მხოლოდ ერთი: უსურვონ აფხაზებს, რომ დაწყებული საქმე მათის ეროვნებისათვის სასარგებლო გზით წასულიყოს და გაახსენონ, ძმობა-ერთობა ქართველებთან აფხაზებს სიკეთის მეტს არრას მოუტანს” (პეტრე ჭარაია. აფხაზური ანბანის შესახებ. – გაზ. “ისარი”, № 282, 1907 წ. 21 დეკემბერი).

რა თქმა უნდა, რუსეთის იმპერიული ძალები და მათი დამქაშები ასეთ პოზიციაზე მდგომ აფხაზთა გულშემატკივარ ქართველ კაცს არამცთუ არ ანდობდნენ იდეოლოგიურად მნიშვნელოვან საქმეში მონაწილეობას, არამედ ცდილობდნენ მისთვის საარსებო წყაროც კი მოესპოთ. უკვე ხანდაზმულ მოღვაწეს ჩამოართვეს მასწავლებლად მუშაობის უფლება და

შიმშილისა და სნეულებისათვის განირეს. მან ვერ გაუძლო ამდენს და თვითმკვლევლობით დაასრულა სიცოცხლე, არადა სწორედ იმ დროს დიდი ივანე ჯავახიშვილი გეგმავდა მის მიწვევას ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში აფხაზური ენის ლექტორად. სამწუხაროდ, ეს გეგმა ჩაიშალა.

სწორედ იმ დროს გარდაიცვალა ზემოთ უკვე ნახსენები აფხაზეთში მოღვაწე მეორე ქართველი განმანათლებელი და მეცნიერი-აფხაზოლოგი ნიკო ჯანაშიაც. პ. ჭარაიასა და ნ. ჯანაშიას სიკვდილი მტკივნეულად განიცადა აფხაზური ინტელიგენციის ლიდერმა დიმიტრი გულიამ, რომელიც თავის გაზეთ “აფსნი“-ში წერდა:

“ეს ქართველი კაცი ცხოვრობდა ჩვენ შორის, აფხაზთა შორის, მაგრამ არსებითად არცერთი ჩვენგანი მას არ იცნობდა, ჯეროვნად ვერავინ დააფასა მისი გარჯა. და როცა ამ დაულალავ და ასაკოვან ადამიანს სნეულება მოერიო, იგი ვერავინ შეამჩნია, არც არავინ დახმარებია, თუმცა დახმარება თვითონაც არ უთხოვია... სნეულებითა და შიმშილით გადაქანცულმა სიცოცხლე თვითმკვლევლობით დაასრულა...”

ჩვენ, აფხაზებმა, აქამდე ვერ ვისწავლეთ მოყვასის პატივისცემა... როდისღა მოვეგებთ გონს, როდისღა გამოვიღვიძებთ? როდის შეგვეძლება, დავაფასოთ ღვაწლი ისეთი ადამიანისა, როგორიც პეტრე ჭარაიაა?

ასეთივე მოუღალავი იყო ნ. ჯანაშიაც, როგორც კაცი და როგორც მოღვაწე, მაგრამ ისიც ხშირად ავადმყოფობდა და, ბოლოს, ნაადრევად გარდაიცვალა. საუკუნო იყოს თქვენი ხსოვნა, კეთილო მოღვაწენო!” (დიმიტრი გულია. პ. ჭარაიას თვითმკვლევლობის გამო. გაზ. “აფსნი”, № 38, 1919 წლის 15 მაისი).

როგორც ვხედავთ, აფხაზი მოღვაწე მწარე საყვედურს გამოთქვამდა თავისი ერის მისამართით, ჩვენთვის თავდადებულ კაცებს ღვაწლი ვერ დავუფასეთო, მაგრამ ვიყოთ ობიექტურნი: მაშინ აფხაზ ხალხს თითზე ჩამოსათვლელი განათ-



ლებული მოღვაწე ჰყავდა, რომლებსაც თვითონაც უჭირდათ მატერიალურადაც და სულისშემხუთავი იმპერიული ატმოსფეროს გამოც. ისინი ყოველდღიურ ომში იყვნენ და, როგორც ჩანს, არც გაუგიათ პ. ჭარაიას გასაჭირი – უკიდურესად თავმოყვარე ქართველმა კაცმა ხომ არ იკადრა სხვის კარზე მიდგომა ლუკმის სათხოვრად! ამიტომ იმდროინდელ აფხაზებს ამ მიზეზით საყვედური ნამდვილად არ ეკუთვნით. შემდგომში კი პ. ჭარაიას დამსახურებას აფხაზი მეცნიერები მუდამ საკადრის პატივს მიაგებდნენ და მადლიერებას გამოხატავდნენ მისი დამსახურების გამო.

ამჟამად პეტრე ჭარაიას სახელი ოქროს ასოებითაა შესული არა მარტო აფხაზოლოგიის, არამედ ქართველოლოგიისა და ზოგადად კავკასიოლოგიის ისტორიაში.

\*\*\*

აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე! იგი იყო სულითა და ხორციტ უმშვენიერესი ქართველი მანდილოსანი, უნიჭიერესი ენათმეცნიერი-კავკასიოლოგი, ვინც თითქმის 80 წლის მანძილზე პირნათლად იხდიდა სამოქალაქო ვალს არა მარტო თავისი მშობელი ქართველი ერის, არამედ ჩვენი მონათესავე აფხაზი, აბაზა, ადიღელი, ყაბარდოელი, ან უკვე გამქრალი უბიხი ხალხებისა და მთლიანად კავკასიის წინაშე, ბრწყინვალე პედაგოგი და მეცნიერების ორგანიზატორი. მას აფხაზთა უმრავლესობა სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებს დღესაც, როცა ზოგიერთ აფხაზს სიტყვა “ქართველის” გაგონებაც კი არ სურს.

ქეთევან ლომთათიძე (1911-2007 წწ.) თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერი იყო, ვინც 200-ზე მეტი პირველხარისხოვანი სამეცნიერო ნაშრომი შექმნა ლინგვისტური ქართველოლოგიის, კავკასიოლოგიისა და ზოგადი ენათმეცნიერების დარგებში.

მისი სახით ქართველ და აფხაზ ხალხებს ჰყავდათ ადამიანი, ვინც საქმით განამტკიცებდა ამ მოძმე ერთა მეგობრობას, ვისი ხელმძღვანელობითაც მარტო ჩვენი დედაუნივერსიტეტის (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის) ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების ბაზაზე აღზარდა 60 აფხაზი ახალგაზრდა, შემდგომში რომ ცნობილი ლინგვისტები, ფოლკლორისტები, ლიტერატურათმცოდნეები, მწერლები, ჟურნალისტები და პედაგოგები გახდნენ. ქალბატონი ქეთევანი ბრძანდებოდა აგრეთვე მთის კავკასიელ ხალხთა (აბაზთა, ადიღელთა, ყაბარდოელთა, ინგუშთა, ჩეჩენთა და დაღესტნის მრავალრიცხოვან ეთნოსთა) ეროვნული იდენტობის, ენებისა და კულტურის დიდი მოამაგე და ქომაგი.

ქეთევან ლომთათიძემ კავკასიოლოგიაში თავისი ეპოქა შექმნა. იგი ამ სამეცნიერო მიმართულების საყოველთაოდ აღიარებული ლიდერი იყო. გამორჩეულ მკვლევარსა და მასწავლებელს უამრავი მაღლიერი პატივისმცემელი ჰყავს და მომავალშიც ეყოლება თბილისში, აფხაზეთში, საქართველოს ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში, ადიღეში, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთში, ყაბარდო-ბალყარეთში, ოსეთში, ინგუშეთში, ჩეჩენეთში, დაღესტანში, ერევანსა და ბაქოში, მოსკოვსა და პეტერბურგში, ევროპისა და ამერიკის სახელოვან უნივერსიტეტებში, სადაც წარმატებით მოღვაწეობენ მისი მაღლიერი მოწაფეები.

მასთან საკონსულტაციოდ განუწყვეტლივ ჩამოდიოდნენ აფხაზი და ჩრდილოეთკავკასიელი მეცნიერები, მისი მოწაფეები, კოლეგები, ნაცნობები და უცნობები, რომლებიც იღებდნენ ქართველი მეცნიერის ბრძნულ რჩევა-დარიგებას თუ დელიკატურად გამოთქმულ შენიშვნებს. გაცილებით უფრო მკაცრი იყო მეცნიერი თავისი თანამემამულე მოწაფეებისა და კოლეგების მიმართ. მას გული შესტკიოდა ქართველ ერზე, საქართველოზე, ქართულ მეცნიერებაზე, ამიტომ მიაჩ-

ნდა, რომ ქართველი მეცნიერები სამაგალითონი უნდა ყოფილიყვნენ არა მარტო მეცნიერებაში, არამედ პირად ცხოვრებაშიც. იშვიათი არ იყო შემთხვევები, როცა მეცნიერი გამოთქვამდა ოთარაანთ ქვრივისებურად მკაცრ, საქმიან და ამასთანავე ფარული სიყვარულით გამთბარ შენიშვნებსა და ძუნწ ქებას... ამის გამო მას მტერიც არ აკლდა, მაგრამ ქ. ლომთათიძის გამორჩეულ ნიჭიერებას, მაღალ ზნეობასა და სანიმუშო ქართველობას თვით მტრებიც კი აღიარებდნენ.

ამჟამად არ არის საიმისო საშუალება, რომ თუნდაც მოკლედ შევაფასოთ აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის სამეცნიერო, პედაგოგიური, ორგანიზატორული და საზოგადო მოღვაწეობა. ეს სამომავლო საქმეა. აქ მხოლოდ ზოგ არსებით მომენტს თუ აღვნიშნავთ.

ქეთევან ლომთათიძეს მრავალი ათეული პირველხარისხოვანი სამეცნიერო ნაშრომი აქვს მიძღვნილი ქართული ენის სტრუქტურის, ისტორიის, დიალექტოლოგიისა და ფუნქციონირების აქტუალური საკითხებისადმი. ამიტომ იგი ერთ-ერთ გამორჩეულ ქართველოლოგად მიიჩნევა. უნდა ითქვას ისიც, რომ მეცნიერმა თავიდან სწორედ ქართველოლოგიაში დაიწყო მუშაობა და ადრიდანვე მიაღწია წარმატებას. სიცოცხლის ბოლო წლებში მკვლევარი ხშირად აღნიშნავდა, რომ ეამაყება ჯერ კიდევ სტუდენტობისას, 1929 წელს დაწერილი თავისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი “ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში”, რომელსაც მისი დიდი მასწავლებლის, აკად. ივანე ჯავახიშვილის ქება და დასაბუქდად წარდგენის პატივი ერგო. ქალბატონ ქეთევანს შემდგომშიც არ დაუკარგავს ინტერესი ქართველოლოგიის პრობლემების კვლევისადმი და ამ დარგში უამრავი ბრწყინვალე ნაშრომიც შეუქმნია, მაგრამ მისმა მეორე გამორჩეულმა მასწავლებელმა, აკად. სიმონ ჯანაშიამ სრულიად ახალგაზრდა მკვლევარს მეტად საპატიო მისია დააკისრა, როცა სამომავლო მუშაობის მიმართულებად აფხაზური და აბაზური ენე-

ბის კვლევა და ამ ენათა ქართულთან მიმართების შესწავლა დაუსახა. მონაფემ წარმატებით გაართვა თავი ამ ამოცანას: მან დედანასავით ღრმად შეისწავლა აფხაზური და აბაზური ენები, ამ ენათა წიაღს ჩამწვდარი შიგნიდან ხედავდა და გრძნობდა არა მარტო ამ ორი ენის ურთულეს სტრუქტურას, არამედ მათი მეშვეობით გამოხატულ ეროვნულ სულს. თანდაყოლილმა ელვარე ნიჭმა, გონებამახვილობამ, დიდმა ერუდიციამ და ღრმა განათლებამ შეუწყვეს ხელი მეცნიერს, დეტალურად აღენერა ამ ორი ენის თითქმის მთელი სისტემა და დაენახა ერთი შეხედვით ქაოსურ ენობრივ მოვლენათა მათემატიკური სიმწყობრე, გამოევილინებინა ის კანონზომიერებანი, რომელთაც კოლეგებმა **ლომთათიძის კანონები** უწოდეს. საამაყო ისიც, რომ დღემდე თითქმის მხოლოდ ქართველი მეცნიერის გამოკვლევებზე დაყრდნობით ინერება აფხაზური და აბაზური ენების სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები და აკადემიური გრამატიკები. რომ არა ქეთევან ლომთათიძის კლასიკური სამეცნიერო ნაშრომები, ეს ორი ენა ამჟამად არ იქნებოდა ქართულის მონათესავე ენათაგან ყველაზე უკეთ და ღრმად გამოკვლეული, ხოლო ამ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის მრავალი ძირითადი პრობლემა ჯერაც შეუსწავლელი დარჩებოდა.

70-80-იან წლებში ჩვენ ვყოფილვართ იმ აფხაზურ და აბაზურ გლეხურ ოჯახებში, რომელთაც 30-40-იან წლებში სტუმრობდა ქალბატონი ქეთევანი. ჩემთვის, როგორც ქართველისათვის, მეტად სასიამოვნო და საამაყო იყო, თუ რა გულწრფელი სიყვარულითა და სითბოთი გამოხატავდნენ თავიანთ პატივისცემას უბრალო ადამიანები ქართველი მეცნიერის მიმართ. მათ დეტალურად ახსოვდათ ქალბატონ ქეთევანის სტუმრობა; მოხიბლულნი იყვნენ მისი ქალური მშვენიერებით, უბრალოებით, თავდაჭერილობით, სხვისი ადათ-წესებისა და ქცევის ნორმების პატივისცემით, საოცარი გამრჯეობით;

უკვირდათ, თუ რა იოლად შეისწავლა მათი ურთულესი ენები სხვა ერის შვილმა და ა. შ.

ქართველი მეცნიერისა და მანდილოსნის პიროვნული ღირსებები, მისი განუზომელი დამსახურება აფხაზურ-აბაზურ ენათა მეცნიერული კვლევისა და აფხაზ და აბაზა ენათმეცნიერთა თაობების აღზრდაში გახდა საფუძველი აფხაზთა და აბაზათა შორის ქეთევან ლომთათიძის მიმართ მასობრივი პატივისცემისა და საყოველთაო სიყვარულის გაჩენისა. მეტად ფასეულია, რომ აფხაზ ხალხში ამ პატივისცემასა და სიყვარულს დღემდე არანაირი ცვლილება არ განუცდია. ამავე პატივისცემის, სიყვარულისა და მაღლიერების გამოხატულებაა ისიც, რომ ქართველ მეცნიერს ლექსებს უძღვნიდნენ აფხაზი და აბაზა პოეტები, **კავკასიის მოციქულსა და თვალმშვენიერ დას** უწოდებდნენ მას, ხოლო აფხაზი ასპირანტები **დედად** მიიჩნევდნენ.

მას შემდეგ, რაც სეროიზულ წარმატებებს მიაღწია აფხაზური და აბაზური ენების მეცნიერული კვლევის საქმეში, ქეთევან ლომთათიძე ამ ორი ენის პარალელურად კვლავ დაუბრუნდა ქართული ენისა და ქართველურ კილოთა ისტორიული ურთიერთმიმართების, ფონოლოგიური სისტემის, ფონეტიკურ პროცესთა, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის ისტორიის, ქართული სამნიგნობრო ენის ნორმალიზაციის აქტუალურ საკითხებს. ამ კვლევისას მას დიდ დახმარებას უწევდა გაფართოებული თვალსაწიერი, რაც გულისხმობდა ქართულის მონათესავე აფხაზური, აბაზური, ადიღური, ყაბარდოული და უბიხური ენების სტრუქტურული პარალელების გათვალისწინებას ქართველოლოგიური პრობლემების შესწავლის დროს, ამ პრობლემების ფართო, ზოგადკავკასიურ პლანში ხედვას. ამგვარმა მრავალმხრივობამ მეცნიერს საშუალება მისცა, გამოეკვლინებინა ორიგინალური კანონზომიერებანი და წარმოედგინა მეტად საფუძვლიანი არგუმენტები იბე-

რიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საბოლოოდ დასადგენად.

აკადემიკოსმა ქეთევან ლომთათიძემ პირნათლად მოიხადა ვალი არა მარტო საქართველოს, არამედ სრულიად კავკასიისა და მეცნიერების წინაშე. მისი მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა ქართველოლოგიის, კავკასიოლოგიისა და თეორიული ენათმეცნიერების ფასდაუდებელი საგანძურია.

გვწამს, ახდება ქალბატონ ქეთევანის უკანასკნელი ტკივილიანი ოცნება, აფხაზეთი კვლავ დაუბრუნდება დედასაქართველოს, ხოლო მეცნიერის აფხაზი და ქართველი მონაფეები შევხვდებით ერთმანეთს სოხუმში, შავი ზღვის სანაპიროზე და ერთად მივაგებთ პატივს ჩვენი საერთო მასწავლებლის ნათელ ხსოვნას.

## მერაბ ნაჭყებია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

## მანანა ტაბიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

# ომისხემდგომი აფხაზეთის ეთნიკურ-ენობრივი

## სიტუაცია

(აფხაზეთის არასატიტულო ეთნოსები)

თითქმის ორი ათეული წელია, რაც ქართველი მეცნიერები აფხაზეთში ემპირიული კვლევების ჩატარების საშუალებას მოკლებულნი არიან, რაც თავისთავად მიუთითებს იმ ტენდენციურად პოლიტიზებულ და სუბიექტურ გარემოზე, რომელიც ომის შემდგომ შეიქმნა საქართველოს ამ უაღრესად მნიშვნელოვან რეგიონში. განსაკუთრებით ძნელი გახდა თანამედროვე ეთნიკურ-ენობრივი სიტუაციის შესწავლა, რადგან სწორედ ეს სფერო ამჟღავნებს ყველაზე მეტად თვითგამოცხადებული სახელმწიფოს ფსევდოსახელმწიფოებრივ და ფსევდოდემოკრატიულ ბუნებას და ამ ტერიტორიის **სატიტულო ეთნოსების – ქართველები-სა და აფხაზების** უკიდურეს შეჭირვებულობასთან ერთად ამ ეთნოსების ნომინალურ როლს რეგიონის პოლიტიკური და იდეოლოგიური გარემოს მართვის საქმეში.

ჩვეულებრივ, ენობრივი სიტუაციის კვლევა კომპლექსურ სამუშაოს წარმოადგენს და სხვადასხვა ტიპის მონაცემთა ერთობლიობიდან ამოდის; კონკრეტული ადგილის (რეგიონის, სტრუქტურის...) ენობრივი სიტუაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება სრულყოფილად დახასიათდეს, როდესაც გვეცოდინება ამ რეგიონის:

- ა) ეთნოლინგვისტური სტრუქტურა;
- ბ) დემოგრაფიული შემადგენლობა;
- გ) ენობრივი კომპეტენცია მოსახლეობაში;
- დ) ენათა სტატუსი და ენობრივი კონტაქტების ტიპები;

ე) ფუნქციური დისტრიბუცია ენებისა ძირითად კომუნიკაციურ სფეროებში;

ვ) სახალხო განათლების, მასმედიის, სახელმწიფო მართვის, მეცნიერებისა და კულტურის, საოჯახო-ყოფითი ურთიერთობების თავისებურებები;

ზ) ეთნოლინგვისტური პრობლემები უმცირესობებში;

თ) სახელმწიფო ენების – ლექსიკის, ტერმინოლოგიის, სტილისტიკისა და სალიტერატურო ნორმების განვითარების თავისებურებანი და პერსპექტივები;

ი) ნორმირებისა და კოდიფიკაციის დონეები;

კ) ენობრივი კანონმდებლობა, ენობრივი პოლიტიკა, ენობრივი კონფლიქტები;

ლ) ენების შესახებ კანონების რეალიზაციის პროგრამები და კანონები.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებიდან წინამდებარე სტატიაში ჩვენ ამჟამად წარმოვაჩინთ ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის (თვითგამოცხადებული რესპუბლიკის) შემადგენლობაში მოხვედრილი ტერიტორიებისა და მოსახლეობის ეთნიკურ-ენობრივ დახასიათებას; ტერიტორია, რომელზედაც ახლა ვსაუბრობთ, წარმოადგენს ე.წ. ენობრივ სივრცეს რთული ენობრივი საზოგადოებით, რომლის ერთიანობა სამოქალაქო ერთიანობას ქმნის. მეცნიერებას აინტერესებს ორი საკითხი:

1) რომელი ეთნიკურ-ენობრივი ჯგუფები მოსახლეობენ თანამედროვე აფხაზეთში და როგორია ამ ენობრივი საზოგადოების შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობების ხასიათი;

2) არსებობს თუ არა ეთნიკურ-ენობრივი საზოგადოების სამოქალაქო ერთიანობა თანამედროვე აფხაზეთში.

ტერმინები – “ეთნიკურ-ენობრივი ჯგუფი”, “ენობრივი საზოგადოება” და “ენობრივი სივრცე” – სოციოლინგვისტური



ტერმინებია და დარგობრივ კონტექსტში სრულიად კონკრეტულ მნიშვნელობას ატარებს. ამ მნიშვნელობათა გათვალისწინებით ხდება საკვლევო რეგიონის ეთნიკურ-ენობრივი სიტუაციის შეფასება, რაც მმართველობის ჰუმანისტური და დემოკრატიული ხარისხის დადგენაში გვეხმარება. **ეთნიკურ-ენობრივი ჯგუფი** თავისი ისტორიული სამშობლოს (სადაც განსახლებულია ამ ეთნოსის ძირითადი მასა) გარეთ მცხოვრები კოლექტივია, რომელიც აგრძელებს თავისი ეთნოსის ენის გამოყენებას შიდაჯგუფობრივ მოხმარებაში. ამგვარი ენის ვიტალურობის (სიცოცხლისუნარიანობის) მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ეთნიკურ-ენობრივი ჯგუფის: 1) რიცხოვნობა; 2) დასახლების კომპაქტურობის ხარისხი; 3) ეთნიკური ენის ფუნქციური და შიდასტრუქტურული განვითარების დონე; 4) ამ ენის გამოყენების კომუნიკაციური სფეროების რაოდენობა და ამ სფეროებში ურთიერთობის ინტენსიურობა; 5) თავისი ეროვნების ენისადმი ჯგუფის წევრთა დამოკიდებულება (მაგ., ენის დაკარგვისაკენ მიმართული პროცესის ხანგრძლივობა და ხასიათი).

აფხაზეთის მოსახლეობის **სატიტულო ეთნოსებს წარმოადგენენ ქართველები და აფხაზები**, რომელთა გარდა აფხაზეთის მოსახლეობის სხვადასხვა სტატისტიკური ცხრილის ეთნიკურ ჯგუფთა ჩამონათვალში ძირითადად დასახლებულნი არიან რუსები, სომხები და კატეგორია —“სხვა ეროვნებები” (რომელშიც ზოგი ცხრილის მიხედვით იგულისხმებიან: უკრაინელები, ბელორუსები, ბერძნები, ოსები, თათრები, თურქები, “ციგნები” (ბოშები), ესტონელები და ისევ “სხვა ეროვნებები”)

ვინ იგულისხმება **სხვა ეროვნებებში**?

სეპარატისტული ხელისუფლების მიერ 2003 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემებით აფხაზეთში 214016 პირი ცხოვრობს, რომელთაგან 94 597 აფხაზია, 44 041 ქართველი, 44 869 სომეხი, 23 420 რუსი, 1797 უკრაინელი, 259 ბელორუსი

სი, 1486 ბერძენი, 457 ოსი, 269 თათარი, 665 თურქი, 203 ბოშა, 446 ესტონელი და 1507 “სხვა ეროვნებები.”<sup>1</sup>

ამ ცხრილში ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: 457 ოსის გარდა აფხაზეთის მოსახლეობაში არ არის დასახელებული არც ერთი ჩრდილოკავკასიელი ეთნოსი, თუმცა 90-იანი წლების სამხედრო კონფლიქტის მთავარ მამოძრავებელ ძალად აქტიურად სახელდებოდნენ სწორედ მთიელ ხალხთა კონფედერაციის წარმომადგენლები: ჩეჩნები და ადიღელები. მოვიხმოთ თუნდაც ერთ მსჯელობას:

“როგორც ამიერკავკასიის, ისე ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონები შეიძლება განვიხილოთ, როგორც უსაფრთხოების მსხვილი კომპლექსი, რომელიც მოიცავს საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს და რუსეთის ნაწილს. ჩრდილოეთი კავკასია კვლავ გადამწყვეტ როლს ასრულებს ამიერკავკასიის მონავალში და მთლიანად კავკასიის უსაფრთხოების კომპლექსში. ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა სიცოცხლისუნარიანობა წარმოუდგენელია ჩრდილოეთ კავკასიის თუნდაც მინიმალური სტაბილურობის გარეშე. **კავკასიის ხალხთა კონფედერაცია, მაგალითად, შეიქმნა სოხუმში 1989 წელს საქართველოსთან დასაპირისპირებლად. აფხაზ ნაციონალისტთა ლიდერები, რომლებიც ამ პერიოდში განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში ყველა პოლიტიკური ძალის გაერთიანების მიმართულებით, დასაყრდენს ეძებდნენ თბილისთან დაპირისპირების დროს. კონფედერაციის დახმარებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა აფხაზეთში საქართველოს ხელისუფლების სამხედრო დამარცხების საქმეში. რუსე-**

---

<sup>1</sup> აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილნაცვალ სტრუქტურები და მოსახლეობა 1993-2005 წლებში, აფხაზეთის მთავრობა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო, სტატისტიკის სამმართველო, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი, 2006.

თის ინტერვენციას ჩეჩნეთის გამოყოფის წინააღმდეგ აგრეთვე შორსმიმავალი გაგრძელება აქვს ყველა ამიერკავკასიური სახელმწიფოს მომავლისათვის.”<sup>2</sup>

ცხრილისმიერი ლოგიკით რუსები რიცხოვნობით მეხუთე ადგილზე დგანან სატიტულო ეთნოსების: ქართველებისა და აფხაზების, და ე.წ. ეთნიკურ-ენობრივი ჯგუფების: სომხებისა და “სხვა ეროვნებების” (ერთობლივად) შემდეგ. ბუნებრივად დაისმის კითხვა: რატომ არის რუსების ენა ერთადერთი საყოველთაოდ რეალიზებული “სახელმწიფო ენა” იმ ტერიტორიაზე, რომელიც არასოდეს ყოფილა რუსეთის შემადგენლობაში, რომელიც უკვე ოცი წელიწადია აღარც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშია, და რაც მთავარია, რომელიც მხოლოდ რუსეთის ხელისუფლების მიერ არის აღიარებული “დამოუკიდებელ რესპუბლიკად”? რამდენად გამოხატავს სხვადასხვა ეთნოსთა სამოქალაქო ინტეგრაციისაკენ მისწრაფებასა და დემოკრატიული მსოფლიოს სულისკვეთებას რუსული ენის გაბატონებული მდგომარეობა არარუსულ ადმინისტრაციულ სივრცეში, სადაც 214 016 მცხოვრებიდან რუსების რიცხვი მხოლოდ 23 420-ს უდრის?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შესაძლებელია ამჟამინდელი აფხაზეთის ენობრივი სივრცის კვლევით. **“ენობრივი სივრცე”**, რომელსაც აგრეთვე კომუნიკაციურ სივრცეს ან ეთნოენობრივ სივრცესაც უწოდებენ სხვადასხვაგვარად განიმარტება<sup>3</sup>, თუმცა ჩვენ ამჯერად მხოლოდ ერთი ფორმული-

---

<sup>2</sup> ბრუნო კოპიტერსი, სადავო საზღვრები კავკასიაში. დასკვნა: კავკასია, როგორც უშიშროების კომპლექსი: <http://poli.vub.ac.be/publi/etni-1/predislovie.htm>

<sup>3</sup> 1. **ენობრივი სივრცე** არის: სოციალურად ერთენოვანი, ორენოვანი ან მრავალენოვანი ჯგუფი, რომლის წევრების ურთიერთკავშირი ეფუძნება სოციალური ურთიერთქმედების სიხშირესა და სისავსეს (ჯ. ჰამპერცის ტერმინი). ეს იგივეა, რაც სოციალური ჯგუფი; 2. ენობრივი კოდების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება ადმინის-

რება გვაინტერესებს: **ენობრივი სივრცე** არის “ერთობლიობა ენობრივი კოდებისა, რომლებიც გამოიყენება ადმინისტრაციულსა და ნაციონალურ წარმონაქმნებში. ეს იგივეა, რაც ენობრივი სიტუაცია.”

**სომხები.** სომხები აფხაზეთში მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს გამოჩნდნენ. ესენი იყვნენ ჰემინები, ან როგორც ზოგჯერ უწოდებენ, ჰემინელი სომხები, რომლებიც თურქეთიდან მოინევდნენ ზღვისპირეთისაკენ, ხოლო მათ მასობრივ „მოწოლას” თურქების მიერ სომხეთის გენოციდს აკავშირებენ. ამ დროიდან მოყოლებული სომხების წილი აფხაზეთში სხვადასხვა აღწერების მიხედვით ასეთია:

წელი	სომხები	სულ საქართველოში
1926	13.8% (25 677)	186 004
1939	15.9% (49 705)	311 885
1959	15.9% (64 425)	404 738
1970	15.4% (74 850)	486 959
1979	15.1% (73 350)	486 082
1989	14.6% (76 541)	525 061
2003 <sup>4</sup>	20.8% (44 870)	215 972

ერევნის ერთ-ერთი წამყვანი საინფორმაციო სააგენტოს მიხედვით სომხური მოსახლეობის მდგომარეობა თანამედროვე აფხაზეთში შეშფოთებას იწვევს. ოფიციალური მონაცემებით, 1992-2006 წლებში სომხების რაოდენობამ აფხაზეთში

ტრაციულსა და ნაციონალურ წარმონაქმნებში. ეს იგივეა, რაც ენობრივი სიტუაცია; 3. გეოგრაფიული სივრცე ამა თუ იმ ენობრივი ფორმის გავრცელებულობის – ენობრივი არეალი.

<sup>4</sup> საქართველოს ხელისუფლება არ ცნობს ამ აღწერის შედეგებს და მიიჩნევს მათ უკანონოდ. აფხაზეთის რეჟიმი აფხაზეთის სომხების რიცხვის მიზანმიმართულ შემცირებაში დაადანაშაულებს სომხურმა არასამთავრობო ორგანიზაციებმაც.

იკლო 76,4 ათასიდან 44,5 ათასამდე. ემიგრაციამ გავლენა მოახდინა სომხური ერთობის სამეურნეო საქმიანობაზე, დაარღვია დიდი ხნის ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო სისტემა: 56 სომხური სკოლიდან მხოლოდ 34 დარჩა. მნიშვნელოვნად შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ სომხები აფხაზეთის მოსახლეობის 20-23%-ს შეადგენენ, პარლამენტში 33 წევრიდან მხოლოდ 3 დეპუტატით არიან წარმოდგენილი და ა.შ.

სომხური წყაროები სომხებს რაოდენობრივად აფხაზეთის მოსახლეობის მეორე Eეთნოსად ასახელებენ აფხაზეთის შემდეგ. თუმცა ვერ უარყოფენ ანტისომხურ განწყობასაც, რასაც აღიარებს თვით აფხაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლებაც.

2003 წლის მონაცემებით სომხების რაოდენობა აფხაზეთში რაიონების მიხედვით ასეთ სურათს გვაძლევს:<sup>5</sup>

რაიონი/ქალაქი	სომხები	სომხები %	მთელი მოსახლეობა
გაგრა	16 322	44.1	24 869
გულრიფშის რაიონი (კოდორის ხეობის ზმო წელის გამოკლებით)	9 375	47.5	19 918
სოხუმი რაიონი	7 209	61.4	11 747
გუდაუთა	4 141	11.9	34 869
ოჩამჩირე	2 177	8.8	24 629
ტყვარჩელი	67	0.5	14 777
გალი	14	0.1	29.287
აფხაზეთი	44 870	20.8	215 972

<sup>5</sup>ვრცლად იხ.: მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე. აფხაზეთის (გალის რაიონის) სოციოლინგვისტური დახასიათება. 1993-2010 წლები. თბილისი, 2010.

**ბერძნები.** XX საუკუნის 60-იანი წლებიდან თურქეთიდან წამოსული ბერძნები მასობრივად სახლდებიან აფხაზეთში. სხვადასხვა აღწერების მიხედვით მათი წილი ასე ნაწილდება:

აფხა-ზეთი	რიცხოვნობა, კაცი				პროცენტობით მთელ მოსახლეობასთან			
	1959	1970	1979	1989	1959	1970	1979	1989
მოსახ-ლეობა სულ	404 738	486 959	486 082	525 061	100	100	100	100
ბერ-ძნები	9 101	13 114	13 642	14 664	2,2	2,7	2,8	2,8

ბერძნებმა აფხაზეთიდან წასვლა 1992-1993 წლების ომის მიმდინარეობისა და მისი დასრულების შემდეგ დაიწყეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნებს აფხაზეთის ომში მონაწილეობა თითქმის არ მიუღიათ. თუმცა გარკვეულმა ჯგუფმა მოინდომა ესარგებლა ომის შედეგებით და ამჟამად ათენში მცხოვრებ ავანტიურისტ ვინმე იანის ზელილოვის ხელმძღვანელობით შექმნილი „დროებითი კომიტეტი“ ბაგაფშისაგან დაკარგული ქონების დაბრუნებას ითხოვს.

**რუსები.** აფხაზეთის რუსული ერთობების კონგრესის მონაცემებით, ამჟამად აფხაზეთში 318-320 ათასი კაცი ცხოვრობს და მათგან 220 ათასი უკვე რუსეთის მოქალაქეა. მათ შორის რუსი დაახლოებით 50 ათასია.

2008 წლის 7 აპრილს სოხუმში დამფუძნებელ კონფერენციაზე გამოცხადდა გადანყვეტილება “რესპუბლიკა აფხაზეთის რუსული ერთობის” შექმნის შესახებ. მასში შევიდა “რესპუბლიკის” ოთხი რუსული კავშირი: ტყვარჩელის, გულრიფშის, გაგრისა და სოხუმისა.

2006 წლის 25 დეკემბერს სოხუმში ჩატარდა აფხაზეთში რუსეთის თანამემამულეთა და რესპუბლიკის კაზაკ მინათმოქმედთა კავშირის ყრილობა, რომელზეც მიზნად დაისახეს

“სოლიდარობა აფხაზი ხალხის მიმართ დამოუკიდებლობის აღიარებისთვის ბრძოლაში და განსაკუთრებულად მჭიდრო ინტეგრაციული პროცესებისათვის რუსეთის ფედერაციასა და კავკასიასთან ყველა სასიცოცხლო სფეროში.”

2004 წელს კრასნოდარში ყუბანელ კაზაკთა IV მსოფლიო თავყრილობა გაიმართა, სადაც კაზაკობამ აფხაზეთით თავისი განსაკუთრებული დაინტერესება გამოხატა. კაზაკთა დელეგაცია 200 კაცის შემადგენლობით ჩავიდა სოხუმში და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ მათ გადასცა უმაღლესი ჯილდო მესამე ხარისხის ორდენი "Ахъдз Аппа" ("Честь и Слава").

2005 წელს სოხუმში “რუსული კულტურის ცენტრი” გაიხსნა.

**ესტონელები.** რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ აფხაზეთში რუსეთის იმპერიამ ინტენსიურად ასახლებდა სომხებს, ბერძნებს, ბულგარელებს, რუმინელებს (მოდოველებს), ამ ტალღას შემოჰყვნენ ესტონელებიც. 1881 წელს თბილისი და შავიზღვისპირეთი მოიარეს ესტონელთა წარმოგზავნილებმა – იან კილკმა და პეტერ პიირმა, რომლებმაც შეარჩიეს სამოსახლო სოხუმის სიახლოვეს და მას უწოდეს ლინდა. ამ ვიზიტს მასპინძლობდა და მესვეურობდა თბილისის გიმნაზიის მასწავლებელი, ესტონური წარმოშობის რეზოლდი, რომელიც ესტონურ გაზეთებში სტატიებს წერდა საქართველოს ზღვისპირეთის მიწების შესახებ. რუსეთის მთავრობა გადმოსახლების შემთხვევაში ესტონელებს პირდებოდა ფულად დახმარებას, სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებას და სახელმწიფო ბეგარის მოხსნას. 1882 წელს ესტონელთა ოჯახები მთიან ლინდაში ჩასახლდნენ, მაგრამ უგზოობის გამო იმავე ზაფხულს კოდორში გადავიდნენ და სოფელი ესტონია შექმნეს. 1883 წელს უკვე ბევრი ესტონელი შეემატათ პიარნუს მაზრიდან. მოგვიანებით (1884 წელს) სოფელი

სალმე, ერთ წელიწადში კი სოფელი სულევო დაარსეს. ყარსის სიახლოვეს სოფელი “ახალი ესტონია” გაჩნდა, იქვე – “კრასნა-ია პოლიანა”, თითქმის ყოველ გემს ესტონური ოჯახი ჩამოჰყავდა და სოხუმი ესტონელთა ბანაკს დაემგვანაო, წერდა სოხუმის ერთ-ერთი გაზეთი 1902 წელს. მოახალშენებებს დიდ ზარალს აყენებდა მალარია. ამ დროს მოქმედებდა ესტონური სკოლები და ლუთერანული ეკლესია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ დახურა. საბჭოთა ხელისუფლებამვე აკრძალა ესტონურ ენაზე სწავლება. მოგვიანებით მარტო ესტონური ენის გაკვეთილები იქნა დაშვებული. 1980-იან წლებში ესტონური ენის გაკვეთილები მხოლოდ სოფელ სალმეში შემორჩა, სადაც სოფ.სულენოს ბავშვებიც დადიოდნენ.

ესტონელების რაოდენობა დიდად შემცირდა დღევანდელ აფხაზეთში. უნდა აღინიშნოს, რომ სეპარატისტური რეჟიმის მტკიცება ომის დროს ქართველთა მიერ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების შევიწროების შესახებ არ დადასტურდა, რადგან ყველა ეთნიკური ჯგუფი, გარდა აფხაზებისა და სომხებისა, სეპარატისტული რეჟიმისავე მონაცემებით უაღრესად შემცირებულია. ესტონელთა უკიდურესად შემცირებულ რაოდენობაზე მიუთითებს სვეტლანა ხოლიჩ-იაკობსონი, საზოგადოება “ლინდას” თავმჯდომარე, რომელიც ხაზგასმით მიუთითებს ქართველების წინააღმდეგ თავის საბრძოლო წარსულზე, და, ცხადია, ქართველების ხათრით არ გააკრიტიკებს დღევანდელი აფხაზეთის ნაციონალურ პოლიტიკას; ს. ხოლიჩ-იაკობსონი აღნიშნავს, რომ ომის შემდეგ ესტონური სოფლები დაიცალა, ხალხი გაემგზავრა, მათ შორის ესტონეთშიც; მაგალითად, ერთ ესტონურ სოფელში მხოლოდ 77 წლის აგნესა ჰეინო და მისი 12 წლის შვილიშვილია დარჩენილი, ბავშვის მამა გარდაიცვალა, დედამ ბავშვზე უარი სთქვა, ბავშვს, რომელიც დაავადებულია ლეიკემიით, რუსი ექიმი ამეცადინებს. ვილიანდში გამართულ კონფერენციაზე ს.ხოლიჩ-იაკობსონი გამოვიდა მოხსენებით “ახალგაზრდობის ნაციონალური აღზრდა”, მოხსენება



აფხაზეთის ესტონელებს ეხებოდა, მისი გამოსვლის ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ სულ რამდენიმე ბავშვი ეუფლება ესტონურს, მათ თავად ს. ხოლიჩ-იაკობსონი ასწავლის, რომელსაც არა აქვს პედაგოგიური განათლება.

**სხვა ეთნოსები.** 2009 წელს “ედინაია აბხაზიას” ოფისში გაიმართა მრგვალი მაგიდა; განიხილეს არააფხაზი მოსახლეობის მდგომარეობა აფხაზეთში:

აღინიშნა, რომ ხდება არააფხაზი მოსახლეობის კატასტროფული შემცირება (მაგ.: ომამდე აფხაზეთში 600-ზე მეტი ესტონელი ცხოვრობდა, დღეს 300-ზე ნაკლებია დარჩენილი, ამჟამად გერმანელთა რაოდენობა მხოლოდ 126 კაცს შეადგენს, ებრაელები ოდნავ მეტნი არიან, ამ წყაროს მიხედვით ბერძნების რიცხვი 20 000-დან 1 000-მდე ჩამოვიდა);

მიმდინარეობს არააფხაზ ეთნოსთა უფლებების შელახვა (ბინებისა და შენობების უკანონოდ ჩამორთმევა, გაყიდვა, ენობრივ-ეთნიკური დისკრიმინაცია და სხვ.);

ეროვნულ ეთნოსთა პრობლემები არავის აინტერესებს; დომინანტ ეთნოსებს აფხაზეთში რუსები და სომხები წარმოადგენენ და მათმა ფაქტობრივმა რაოდენობამ (მრგვალი მაგიდის მონაწილეთა მონაცემებით) აფხაზებისას გადააჭარბა: “რუსები და სომხები მალავენ საკუთარ რაოდენობას, რადგან ამ ეტაპზე ეს სახიფათოდ მიაჩნიათ”.

	რიცხოვნობა, კაცი				პროცენტობით მთელ მოსახლეობასთან			
	1959	1970	1979	1989	1959	1970	1979	1989
უკრაინელი	11 474	11 955	10 267	11 655	2,8	2,5	2,1	2,2
ბელორუსი	1 389	1 901	1 311	2 084	0,3	0,4	0,3	0,4
ებრაელი	3 332	4 372	2 067	1 752	0,8	0,9	0,4	0,3

თანამედროვე აფხაზეთში ომის შედეგებით არც ერთი ეთნიკური ჯგუფი არაა კმაცოფილი, გარდა რუსებისა, რომელთა როლი, გავლენა და მნიშვნელობა დღევანდელ აფხაზეთში ძალიან დიდია. ისინი განსაზღვრავენ პოლიტიკურ პრიორიტეტებს, გეგმავენ პროცესებს, ნიშნავენ და ათავისუფლებენ თანამდებობის პირებს, ახორციელებენ რუსიფიკატორულ პოლიტიკას, სამხედრო ძალით აკონტროლებენ ვითარებას. ამდენად, შექმნილი მდგომარეობა არა მარტო ქართველებს, არამედ აფხაზებსაც (და სხვა ეთნოსებსაც, გამონაკლისის გარდა) იმპერიის „მსახვრალი ხელისგან“ გაქრობის რეალური საფრთხის წინაშე აყენებს.

## ირაკლი გელენავა

ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

### აფხაზეთში რუსიფიკატორული პოლიტიკის ისტორიისათვის (XIX–XX საუკუნეების მიჯნა)

*„საუკუნეთა განმავლობაში სხვებთან ერთად, ქართული იდეის და ქართული სახელმწიფოს თანაშემოქმედნი იყვნენ აფხაზები. ქართული სამყაროს შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი ყოველთვის იყო აფხაზეთი“.*

**ილია მეორე**

*უწმინდესი და უნეტარესი,  
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,  
საალდგომო ეპისტოლე  
2011 წელი*

XX საუკუნის დასაწყისში, – აფხაზეთში<sup>6</sup>, რუსეთის იმპერიის მიერ ანექსირებულ ამ პატარა მხარეში, რომელსაც ცარიზმი დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა, ცარიზმის საგანმანათლებლო და ენობრივი პოლიტიკა მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა: განემტკიცებინა თავისი ბატონობა რეგიონში, განათლების გზით დაენერგა რუსეთისადმი მონური მორჩილების ტენდენცია, ჩამოეგდო განხეთქილება ქართველებსა და აფხაზებს შორის.

როგორი იყო ჩვენთვის საინტერესო პერიოდში აფხაზეთის ეთნიკური სურათი? – 1880 წელს, რომ სოხუმის ოლქში

---

<sup>6</sup> საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი.

---

**შენიშვნა:** 1) ციტირებულ ტექსტებში დაცულია ავტორისეული სტილი; არ გაკეთებულა ორთოგრაფიულ-პუნქტუაციურ უზუსტობათა კორექტირება (რედ.).

ქართველები წამყვანი ეთნიკური ჯგუფი იყო, ამაზე ხაზგასმულია იმდროინდელი გერმანელი ეთნოგრაფის ნ. ზაიდლიცის მონაცემებშიც.<sup>7</sup> უფრო გვიანი სტატისტიკური მონაცემებიც არ ცვლის ამ სურათს. როგორც ცნობილია, 1897 წელს რუსეთის მთელს იმპერიაში ჩატარდა პირველი საყოველთაო აღწერა. ამ აღწერის მონაცემებით, აფხაზეთში სულ ცხოვრობდა 106 179 კაცი,<sup>8</sup> სოხუმის ოლქის მოსახლეობიდან ქართველი იყო 25 873 კაცი, რუსები – 5 135, ჩერქეზი – 58 715, სომხები – 6 552, ბერძნები – 5 393, გერმანელები – 406, სხვა დანარჩენი – 4 105 კაცი<sup>9</sup>. რაც შეეხება აფხაზებს, ამ დოკუმენტში ისინი ცალკე ეთნიკურ ჯგუფად გამოყოფილი არ არიან, მხოლოდ აღნიშნულია, რომ მთელს ქუთაისის გუბერნიაში გამოვლინდა 60 სხვადასხვა ენობრივი ჯგუფი და მათ შორის 59 469 კაცი აფხაზურენოვანი მოსახლეობა<sup>10</sup>.

აფხაზეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, მათი რიცხვი 87 064 კაცს შეადგენდა, მუსლიმანები იყვნენ 11 062 კაცი, სომეხი გრიგორიანელები – 6 536 კაცი, ლუთერანები – 954 კაცი, კათოლიკეები (სომეხი და „რომაელი“) – 375 კაცი, იუდეველები – 162<sup>11</sup> კაცი, სხვა რელიგიურ მიმდინარეობებს კი მეტად მცირერიცხოვანი მიმდევარი ჰყავდა.

როგორი იყო რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით წერა-კითხვის მცოდნეთა სტატისტიკა? – იგივე აღწერის მონა-

---

<sup>7</sup> Д. Гамахариа, Б. Гогиа. Абхазия – историческая область Грузии, Тб. 1997, გვ. 352.

<sup>8</sup> Первая всеобщая перепись населения российской империи 1897 года. LXVI, кутайская губерния. Издание центрального статистического комитета министерства внутренних дел, под ред. Н.А.Тройцкого. გვ. V.

<sup>9</sup> Первая всеобщая перепись... 88-93. იხ იქვე. ჩგვ. 3.

<sup>10</sup> Первая всеобщая перепись... გვ. VI.

<sup>11</sup> Первая всеобщая перепись... გვ. 86-87.

ცემებით აფხაზეთში მართლმადიდებლობის აღმსარებელ მოსახლეობაში 25 758 კაცი იყო ქართველი და მათ შორის აღწერაში წერა-კითხვის მცოდნედ დასახელებულია 3 094 კაცი. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ კავკასიელი მთიელების იმ რაოდენობას, რომელიც მართლმადიდებლად არის გამოცხადებული. მათი რიცხვი 49 187 კაცს შეადგენს, ხოლო მათ შორის წერა-კითხვის მცოდნე ყოფილა 1 277 კაცი. დოკუმენტი არ იძლევა სრულ მონაცემს, იმის შესახებ, თუ ვინ იგულისხმება „მართლმადიდებელ მთიელებში“. თუნცა ამ საკითხს მოგვიანებით ისევ მივუბრუნდებით. რუსი ეროვნების მოსახლეობიდან მართლმადიდებლობას აღიარებდა 5 977 კაცი, მათ შორის წერა-კითხვის მცოდნე – 4 066, მართლმადიდებელი იყო ასევე 5 383 ბერძენი, მათ შორის წერა-კითხვის მცოდნე – 1177 კაცი, 21 მართლმადიდებელი სომხიდან 8 კაცი იყო წერა-კითხვის მცოდნე. ქრისტიანობის ამ მიმდინარეობას აქ სხვა ეროვნებათა მცირერიცხოვანი მიმდევრებიც ჰყავდა.

ისლამის აღმსარებელთა შორის ქართველი იყო 82 კაცი, მათ შორის წერა-კითხვის მცოდნე – 12 კაცი, კავკასიელი მთიელებიდან ისლამის მიმდევარი იყო 9 149 კაცი, მათ შორის წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი შეადგენდა 71-ს. ისლამის აღმსარებელი რუსი ეროვნების კაცი აღწერაში არ არის დაფიქსირებული, სომხებიდან და ბერძნებიდან 3-3კაცი იყო ამ რელიგიის მიმდევარი და მათ შორის წერა-კითხვის მცოდნე – 1<sup>12</sup>.

აღსანიშნავია, რომ აღწერის მონაცემებით უმაღლესი და ტექნიკური განათლებით აფხაზეთის სოფლის მოსახლეობაში არც ერთი კაცი არ დაფიქსირებულა; უმაღლესი განათლება არ ჰქონდათ სოხუმის ოლქში მცხოვრებ კაზაკებსა და უცხო-

---

<sup>12</sup> Первая всеобщая перепись... გვ. 114-117.

ელ ახალმოსახლეებსაც<sup>13</sup>. აფხაზეთში მოსახლეობის ამ სოციალური კატეგორიიდან მხოლოდ ქალაქ სოხუმში აღმოჩნდა 3 კაცი, რომელთაც საშუალო-სპეციალური განათლება ჰქონდათ, ხოლო 12 კაცი და 27 – ქალი საშუალო განათლებით<sup>14</sup>.

განათლების მხრივ ოდნავ განსხვავებული მდგომარეობაა სოხუმის ოლქის თავადებისა და „ჩინოვნიკების“ ოჯახებში, აღწერის მიხედვით ამ სოციალურ კატეგორიაში წერა-კითხვის მცოდნეა 1 653 კაცი, წერა-კითხვის არმცოდნეა – 3 574 კაცი<sup>15</sup>. მათ შორის უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში განათლება მიღებული ჰქონდა 35 კაცს, სპეციალური ტექნიკური განათლებით იყო 7 კაცი, საშუალო სპეციალური განათლება ჰქონდა 20 კაცს, საშუალო კი – 275-ს<sup>16</sup>. სტატისტიკის მიხედვით, განათლების მხრივ სავალალო მდგომარეობა იყო სოხუმის ოლქის სასულიერო და სოზოგადოების სხვა ფენებშიც.

შეიძლება დავასკვნათ: 1897 წლის აღწერის მიხედვით, სოხუმის ოლქში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი შეადგენდა 10 285 კაცს. მიუხედავად იმისა, თუ რომელ ენაზე წერდა ან კითხულობდა.

რაც შეეხება, იმას თუ ვინ მოიაზრებოდა 1897 წლის აღწერაში მთიელებად/ჩერქეზებად? – საქმე ისაა, რომ აღწერაში სამურზაყანოელები<sup>17</sup> შეგნებულად მიათვალეს „მთიელებს/ჩერქეზებს“, რითაც მიზანმიმართულად გააყალბეს მხარის რეალური ეთნიკური სურათი. შედეგად მიიღეს გაზრდილი რიცხოვნობა ამ ეტაპზე მათთვის სასურველი ეთნიკური ჯგუფისა სამურზაყანოელთა ხარჯზე. ასევე წინ წამოწიეს მა-

---

<sup>13</sup> Первая всеобщая перепись... გვ. 80.

<sup>14</sup> იქვე. გვ. 80.

<sup>15</sup> Первая всеобщая перепись... გვ. 78.

<sup>16</sup> Первая всеобщая перепись... გვ. 78-83.

<sup>17</sup> ამჟამინდელი გალის რაიონი.

თი კულტურული მდგომარეობა (წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი, მღვდელ-მსახურთა რაოდენობა და ა. შ.).

სამურზაყანოს მოსახლეობის მთიელებად წარმოჩენა იყო მცდელობა, დაემკვიდრებინათ აზრი, თითქოს სამურზაყანოელები ქართველები არ იყვნენ. ამიტომაც ამავე პერიოდში იყო მიღებული გადაწყვეტილება მათთვის მეგრული დამწერლობის შემოღებისა; ამით სურდათ, რომ აფხაზეთის ეს ძირძველი ქართული მოსახლეობა ერთიანი ქართველი ერისაგან ჩამოეცილებინათ ისეთნაირად, რომ არც „დამნაშავე“ აფხაზებს შერწყმოდნენ და ასე იოლად გაერუსებინათ.<sup>18</sup>

მეტად საყურადღებოა, რომ ამ სტატისტიკასთან წინააღმდეგობაში მოდის ქუთაისის გუბერნატორის თ. გერშელმანის მიერ 1902 წლის 2 სექტემბერს შედგენილი მოხსენების მონაცემები. მიზეზი მონაცემების ამგვარი უტიფარი გაყალბებისა არის იმპერიული ზრახვების ყველა შესაძლო საშუალებით რეალიზებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა.

გვაქვს შედარებით გვიანდელი სტატისტიკაც. როგორც სოხუმის ოლქის უფროსი, თავადი ლ. ჯანდიერი ეპისკოპოს კირიონისადმი გაგზავნილ დეპეშაში მიუთითებს, 1906 წელს სოხუმის ოლქში ცხოვრობდა 3 419 სული რუსი (ორივე სქესის), აფხაზი – 40 978, მეგრელი – 9 037, სამურზაყანოელი – 44 623, გურული – 56, ქართველი – 60, იმერელი – 53, ბერძენი – 4 946, სომეხი – 6 313, თურქი – 935, სპარსი – 17, ესტონელი – 299, ლატვიელი – 48, ბულგარელი – 230, მოლდაველი – 254, ოსი – 2, ლეზგინი – 9, ალბანელი – 12, თათარი – 2, პოლონელი – 8, ფრანგი – 5, ჩეხი – 3, ავსტრიელი, გერმანელი – 5.<sup>19</sup>

---

<sup>18</sup> ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბ. 2005 გვ. 552

<sup>19</sup> წმინდა მღვდელმონაშე კირიონ II და აფხაზეთი. თბ. 2006 გვ. 124.

ყველა ზემოთმოყვანილი და არსებული ობიექტური სტატისტიკური მონაცემი აშკარად მიუთითებს, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აფხაზეთში ძირითადი, წამყვანი ეთნოსი იყო ქართველი.

რა ღონისძიებებს მიმართავდნენ ცარიზმის მოხელეები აფხაზეთის მოსახლეობის გარუსების მიზნით? – ისინი ენერგიულად მოქმედებდნენ კოლონიზატორული, განათლებისა და სასულიერო სფეროში გამარუსებელი ენობრივი პოლიტიკის გასატარებლად უფრო მოქნილი და ეფექტური მექანიზმის შესაქმნელად.

1885 წლის შემდეგ მეფის ხელისუფლება საქართველოს ისტორიულ მიწაზე ჩასასახლებლად უაპელაციოდ ეპატიჟებოდა სხვადასხვა ეთნოსისა და რელიგიური აღმსარებლობის ხალხს, ქართველებს კი ხელოვნურ დაბრკოლებას უქმნიდა. ასეთი დისკრიმინაციული დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, აღაშფოთებდა ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ისინი ჩინებულად ხვდებოდნენ თუ რა მიზანს ისახავდა ძირძველ ქართულ მიწაზე აფხაზების გაძევების შემდეგ<sup>20</sup> სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ჩასახლება და ტერიტორიის „აჭრელება“, ამიტომაც თავიანთ პუბლიცისტურ ნერილებში მოითხოვდნენ, რომ დაუსახლებელი ტერიტორია დაეკავებინათ ძირითადად XVI-XVII საუკუნეებში ჩრდილოკავკასიელთა მასიური ჩამოსახლების შედეგად დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადასახლებული აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის შთამომავლებს. სწორედ ამ პრობლემას ეხება იაკობ გოგებაშვილის ნერილი: „ვინ დავასახლოთ აფხაზეთში“.<sup>21</sup> ავტორი აფხაზების გარუსებისაგან და აფხაზეთის ტერიტორიის რუსული ექსპანსიისაგან გადარჩენის შანსს სწო-

---

<sup>20</sup> საუბარია მუჰაჯირობაზე.

<sup>21</sup> ი. გოგებაშვილი, „Кем заселить Абхазию“. – Тифлиский Вестник, 1877 (№209, 210, 243, 244, 245, 246, 248, 249).



რედ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XVI-XVII საუკუნეებში მთიელთა ჩამოწოლის შედეგად დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუბთეში განთესილ აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის შთამომავლების დაბრუნებაში ხედავდა.<sup>22</sup> ანუ ეს უნდა ყოფილიყო არა ჩასახლების, არამედ წინაპართა საცხოვრებელ მიწაზე შთამომავლობის დაბრუნების პროცესი.

ბუნებრივია, ტერიტორიაზე ეთნიკური სურათის ცვლილებას მოჰყვება ადგილობრივი ისტორიულად ჩამოყალიბებული ტოპონიმიკის ცვლა. აფხაზეთის ტოპონიმიკის ცვლას 1864 წლიდან დღემდე სპეციალისტები ხუთ ეტაპად ყოფენ. პირველი ეტაპი განხორციელდა 1864 -1918 წლებში.<sup>23</sup> 1914 წელს შედგენილი სოხუმის ოლქის დასახლებული პუნქტების იმ სიიდან, რომელიც დაცული იყო აფხაზეთის სახელმწიფო ისტორიულ არქივში და შეიცავდა 213 მსხვილი სოფლის სახელს, არ არის წარმოდგენილი გაგრის ზონის დასახლებული პუნქტები, ვინაიდან ეს მხარე 1904 წელს ცარიზმის დამქაშებმა თვითნებურად მიუერთეს შავი ზღვის გუბერნიას, ამ 213 სოფლიდან ახალი რუსული, ანდა რუსიფიცირებული სახელი აქვს 33 სოფელს. ესენია: 1. ბაკლანოვკა, 2. ბელორეჩინსკი, 3. ვესიოლი, 4. პეტროვსკოე, 5. ალექსანდროვსკოე, 6. ალექსანდროვსკოე პერვოე, 7. ალექსანდროვსკოე ვტოროე, 8. ანდრეევსკოე, 9. ვასილევკა, 10. ვორონცოვკა, 11. ივანოვკა, 12. მარიინსკოე, 13. მატროსსკაია სლობოდკა, 14. მიხაილოვსკოე, 15. ნაა-არმიანსკოე, 16. ნიკოლაევსკო-ანასტასიევ-

---

<sup>22</sup> აფხაზეთში ჩასახლებული ქართველები, სხვებისაგან განსხვავებით, XVII ს-ში იქიდან განდევნილთა შთამომავლები რომ იყვნენ ამის შესახებ სულ ბოლო დრომდე არავინ ლაპარაკობდა. ასეთი დასკვნა ქართულმა ისტორიოგრაფიამ გააკეთა ბოლო წლებში. იხ. **ჯ. გამახარია**, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბ. 2005.

<sup>23</sup> **თ. გვანცელაძე**. ტოპონიმთა მასობრივი ცვლა აფხაზეთში 1864 წლის შემდგომ. კრებულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXXIV. თბ., 2000, გვ. 45.

სკოე, 17. ნოვოჩერნიგოვკა, 18. ოლგინსკოე, 19. ვლადიმიროვკა, 20. გეორგიევსკოე, 21. დიმიტროვსკოე, 22. ეკატერინონსკოე, 23. კონსტანტინოვსკოე, 24. პავლოვსკოე, 25. პეტროვსკოე, 26. პოლტავსკოე, 27. როჟდენსტვენსკოე, 28. სპასოვსკოე, 29. სტაროჩერნიგოვკა, 30. ესტონსკოე, 31. ეშერი-აბხაზსკოე, 32. ეშერი-არმიანსკოე, 33. იურიევსკოე.<sup>24</sup> როგორც ვხედავთ, ტოპონიმთა ცვლა აფხაზეთში ხორციელდებოდა ცარისტულ-იმპერიული რეჟიმის მიერ წინასწარ დაგეგმილი გმარუსებელი პოლიტიკის შესაბამისად.

აღნიშნულ პრობლემას ეხმაურებოდა თავის წერილში ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკო ჯანაშია: „გასული საუკუნის (XIX ს. – ი. გ.) უკანასკნელ მეოთხედში საზოგადოდ სოხუმის ოლქი, კერძოდ მისი საუკეთესო, თვალწარმტაცი ნაწილი მდ. კოდორიდან ღელე გაგრიფშამდის მიზანში ამოიღო რუსეთის ბურჟუაზიამ და საუკეთესო ადგილები შეიძინა. ეს ბუნებით უხვად დაჯილდოებული ნაწილი აფხაზეთისა მოსკოველ და პეტერბურგელ ჯიბესქელთა ხელშია უკვე. მიდხარ და მისდევ ამ ნაპირს: აქ ბალია სახელად „ოტრადნოე“, იქ „სჩასტიე“, ფეხს მოინაცვლებ, „ლუბოვს“ ანდა „დრუჟბას“ მიადგები. მათი უწინდელი პატრონები აფხაზები კი ხელცარიელნი დარჩნენ: რაც ფული აიღეს, მოეხარჯათ, მამულიც ხელიდან გამოუძვრათ...“<sup>25</sup>

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთი სერიოზული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მთელი იმპერია ფართო რევოლუციურ-დემოკრატიულმა მოძრაობამ მოიცვა.

---

<sup>24</sup> იქვე, გვ. 47.

<sup>25</sup> გაზ. „დროება“, 1909, 15 დეკემბერი. (იხ. წიგნში **ჯ. გამახარია**. ქართულ აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1991. გვ. 17.).

რევოლუციის მიუხედავად, რუსეთი აგრძელებდა აფხაზეთის კოლონიზაციას. 1905-1910 წლებში რუსეთის სხვადასხვა ადგილებიდან 54 ათასი მცხოვრები ჩამოსახლეს<sup>26</sup>. შავი ზღვის სანაპიროს საუკეთესო ადგილები ცარიზმის მოხელეებმა რუს კოლონისტებს დაურიგეს. 1908 წლამდე, ვიდრე კავკასიაში ორგანიზებული გადმოსახლება დაიწყებოდა, საკოლონიზაციო ფონდი 258 580 დესეტიანას აღწევდა. 1908-1915 წლებში ამ ფონდს 285 287 დესეტიანა შეემატა. 1915 წლის დასაწყისისათვის გადმოსახლებულთათვის (80 786 კაცისათვის) გამოყოფილი იყო 543 867 დესეტიანა მიწა.

მეფისნაცვალის ვორონცოვ-დაშკოვი სახსრებს არ ზოგავდა კოლონისტთა მოსაწყობად. მარტო მათი სახლების ასაგებად 1908-1915 წლებში გაიცა 985 579 მანეთი.

ფართო კოლონიზაციის დაწყებიდან, 1908-1915 წლებში, საქართველოში გადმოუსახლებიათ 33.412 რუსი მამაკაცი, ხოლო ორივე სქესისა – 66 ათასი სული.<sup>27</sup>

როგორი იყო სოხუმის ოლქის სკოლებში არსებული მდგომარეობა? – როგორც დასტურდება, XX საუკუნის დასაწყისისათვის აფხაზეთში არსებობდა 33 დაწყებითი სასწავლებელი, მათ შორის 5 სასწავლებელი 2-კლასიანი სწავლების კურსით<sup>28</sup>.

მხარის რუსიფიკაციისაკენ მიმართული ცვლილებები, ბუნებრივია, საგანმანათლებლო სისტემაშიც ხორციელდებოდა. 1884 წლის 13 ივნისს იმპერატორმა დაამტკიცა საეკლესიო-სამრევლო სკოლების წესდება,<sup>29</sup> ხოლო 1885 წელს მართმადი-

---

<sup>26</sup> ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე. საქართველოს ისტორია. თბ., 1991. გვ. 161.

<sup>27</sup> გაზ. „სამშობლო“, 1916, №458.

<sup>28</sup> ნ. გ. ვეკუა, სახალხო განათლების დაწყებითი სასწავლებლები რევოლუციამდე აფხაზეთში, (1851-1917 წწ.) თბ., 1958, გვ. 74.

<sup>29</sup> იქვე. გვ. 521.

დებლობის აღმდგენი საზოგადოების საეკლესიო-სამრევლო სკოლები სამრევლო სკოლებად გადაკეთდნენ ა. შ.<sup>30</sup>

1880 წლიდან 1905 წ-მდე აფხაზეთში გაიხსნა 86 სკოლა, აქედან მართლმადიდებლობის აღდგენის ხაზით – მოქვეში, აჩანდარასა და ფოქვეშში, დანარჩენები კი საეპარქიო სასწავლო საბჭოს დაქვემდებარებაში იყვნენ.<sup>31</sup>

1900 წელს აფხაზეთის სახალხო სკოლებში მასწავლებელთა რიცხვი უკვე აღწევდა 46-ს; მათ შორის აფხაზი იყო 3 მასწავლებელი, ქართველი – 25, რუსი – 14 და სხვ.<sup>32</sup>

აფხაზეთში სკოლების სიმცირისა და მიუწვდომლობის გამო, კვლავ გამოიყენებოდა სწავლა-აღზრდის ხალხური წესები.<sup>33</sup> საშინაო აღზრდაში მთავარი ადგილი ოსტატს (მასწავლებელს), მღვდელს, ბერსა და ოჯახის დიასახლისს ეჭირა. ოჯახში არსებობდა „ზეპირი სკოლები“, რომლებშიც „ვეფხისტყაოსანს“ და სხვა ნაწარმოებებს ასწავლიდნენ. სწორედ ამან შეინარჩუნა აფხაზეთში ქართული სული. განათლების პრობ-

---

<sup>30</sup> იქვე. გვ. 520.

<sup>31</sup> **ჯ. გამახარია.** აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 1020-1029.

<sup>32</sup> **ნ. ვეკუა,** სახალხო განათლების დაწყებითი სასწავლებლები რევოლუციამდე აფხაზეთში (1851- 1917), სოხ., 1958; იხ. ასევე, **ქსენია კვიციანი,** პედაგოგიური განათლება აფხაზეთში 1896-1921 წწ. ჯედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, სოხ., 1963 წ. ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, გვ. 28 (ინახება თ. ს. უ. ბიბლიოთეკაში).

<sup>33</sup>სამურზაყანოში განათლების საკითხებზე იხ. **ი. გელენავა.** რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის შესახებ აფხაზეთში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის პირველ ოცნლეულში (სამურზაყანოს მასალებზე დაყრდნობით). საისტორიო აღმანახი „კლიო“. თბ. 2005, №26, გვ. 77-98. იხ. ასევე **ი. გელენავა.** საგანმანათლებლო საქმიანობა აფხაზეთში 1900-1921 წწ. სამეცნიერო კრებული: „საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები“. თბ. 2003. ჩვ. 266-301.

ლემასთან დაკავშირებით გაზეთ „სახალხო ფურცელში“ თედო სახოკია ფსევდონიმით „სოხუმელი“ ხაზგასმით მიუთითებდა: „სამწუხაროა ის ფაქტი, რომ დღემდე ამ ნიჭიერ ხალხის, როგორიც აფხაზები არიან, შვილთაგან უმაღლესი სასწავლებელი არავის დაუმთავრებია“. (აქ ალბათ თავადთა ფენაზე არ არის საუბარი – ი. გ.) ეს იყო შედეგი ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის, ისტორიული ბედუკუღმართობის, გარეშე მტრების განუწყვეტელი ექსპანსიისა, რის გამოც საგრძნობლად შეფერხდა საქართველოს კულტურული განვითარება, რამაც რეგიონში სერიოზულად შეასუსტა ქრისტიანული ტრადიციები, გააძლიერა მაჰმადის რჯული და წარმართობა. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ორი იყო – ან აფხაზეთი დაუბრუნდებოდა მამა-პაპათა კულტურულ ფასეულობებს – საერთო ქართულ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ კულტურულ სამყაროს, ან დაადგებოდა რუსეთის მიერ თავს მოხვეულ ძალმომრეობით კულტურულ ცხოვრებას, რომლის შედეგი რუსულ კულტურულ სივრცესთან შეერთება და საბოლოოდ რუსიფიკაცია იყო. ამისათვის კი რუსეთს სურვილიც ჰქონდა და საშუალებაც.<sup>34</sup> აქედან გამომდინარე, განათლებას და საგანმანათლებლო პოლიტიკას საქართველოს ამ კუთხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.<sup>35</sup>

როგორი იყო ტიპობრივი საეკლესიო-სამრევლო სკოლა აფხაზეთში XX საუკუნის დასაწყისში? ასეთი სასწავლებელი ამზადებდა წერა-კითხვის მასწავლებლებს სკოლისათვის. სწავლების ვადა ორკლასიან სასწავლებლებში განსაზღვრული იყო 5 წლით, ხოლო ერთკლასიან სასწავლებლებში – არანაკ-

---

<sup>34</sup> გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1905, 1 აპრილი.

<sup>35</sup> ი. გელენავა. აფხაზეთი 1880 წლიდან 1917 წლამდე. წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები. (აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე) წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები. (აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე). თბ. 2007. გვ. 264-284.

ლებ 3 წლით<sup>36</sup>. მეფის ხელისუფლება დიდად არ ნაღვლობდა აფხაზეთის სამრევლო სკოლების პედაგოგიური კონტიგენტის პროფესიონალურ დაოსტატებაზე. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ზოგიერთ სამრევლო სკოლაში პედაგოგებად დაუნიშნავთ სტრაჟნიკები და გუდაუთის 2-კლასიანი სამრევლო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები იმ მოტივით, რომ „აფხაზურის სწავლება შეუძლიათ“. ამ ფაქტის გამო გაზეთ „ისრის“ კორესპონდენტი აღშფოთებას ვერ მალავდა<sup>37</sup>. სოფლებში ძირითადად მასწავლებლობდნენ მღვდლები, რომელთა უმეტესი ნაწილი მოუმზადებელი იყო როგორც მეცნიერულად, ისე პედაგოგიურ-მეთოდურად.<sup>38</sup> XX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს საეპარქიო საბჭოს დადგენილებით, სამრევლო-საკლესიო სკოლებში შემდეგი წესი იქნა მიღებული: „იმ სკოლებში რომელნიც ქალაქებშია დაარსებული, პირველი წლიდანვე სწავლა რუსულ ენაზე დაიწყება. სოფლის იმ სკოლებში, სადაც მხოლოდ ქართველები არიან, სამ პირველ წელიწადს სწავნენ ქართულ ენაზე ასწავლიან, ამასთან დაწყებინებენ რუსულს და ასწავლიან ამ ენაზედ ლოცვებს. სოფლის იმ სკოლებში – კი, სადაც ქართველებთან სხვა ტომის შვილები (ოსები, ბერძნები, რუსები, თათრები და სხვანი) იქნებიან, სწავლა პირდაპირ რუსულს ენაზედ დაიწყება ეგრედ ნოდებულ „მუნჯური მეთოდის“ შემწეობით. ეს წესი შემოღე-

---

<sup>36</sup> **ბ. გ. ვეკუა**, სახალხო განათლების დაწყებითი სასწავლებლები რევოლუციამდე აფხაზეთში, (1851-1917 წწ.) თბ., 1958, გვ. 91.

<sup>37</sup> ჩგაზ. „ისარი“, 1907 წ. 24 ივლისი.

<sup>38</sup> **ბ. გულუა**, აფხაზეთი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდულ გამოცემებში. ბათუმი, 1996 წ., გვ. 84. იხ. ასევე, **ი. გელენავა**. საგანმანათლებლო საქმიანობა აფხაზეთში 1900-1921 წწ. კრებული „საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები“. თბ., 2003, №VI, გვ. 266-301.

ბულ იქმნა საეპარქიო მეთვალყურის მ. ვოსტორგოვის მეცადინეობით“<sup>39</sup>.

აფხაზეთში ანტიქართული ფსიქოზის დასაწერგად გატარებული ღონისძიებების შედეგები, პირველ რიგში, გამოვლინდა სასულიერო-სამრევლო სკოლებიდან ქართული ენის ტოტალურ განდევნაში, კერძოდ XIX ს. 90-იანი წლების მეორე ნახევარში. 1898 წლის 17 მარტის საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ბრძანებულებით<sup>40</sup> ქართული ენა განდევნეს აფხაზეთ-სამურზაყანოს სკოლებიდან და წირვა-ლოცვის შესრულებაც აკრძალეს<sup>41</sup>. ასეთი ვითარება კი პატრიოტი ქართველი პედაგოგების სერიოზულ უკმაყოფილებასა და პროტესტს იწვევდა.

არსებობს ქუთაისის გუბერნატორის საიდუმლო წერილი მეფისნაცვლისადმი, რომელშიც დასახელებულნი არიან ის პატრიოტი პედაგოგები და მოღვაწეები, რომლებიც სასულიერო თუ საერო სკოლებში ეწინააღმდეგებოდნენ რუსიფიკაციის ცარისტულ პოლიტიკას. ესენი იყვნენ: თედო სახოკია, ანთიმოზ ჯულელი, ივანე გეგია, გრიგოლ კანდელაკი, ივანე ბურჭულაძე, ფარნა დავითაია და სპირიდონ ნორაკიძე<sup>42</sup>.

ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე მყოფი ინტელიგენციის წარმომადგენლების საქმიანობამ<sup>43</sup> ყანდარმერიის სამმართველოს ყურადღებაც კი მიიპყრო. ამ მხრივ საყურადღებოა

---

<sup>39</sup> გაზ. „ივერია“, 1901 წ. 5 ივლისი.

<sup>40</sup> **ჯ. გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 591-592.

<sup>41</sup> **ტროფ. ხუნდაძე**, ცარიზმი და სახალხო განათლება საქართველოში 1881-1917 წწ. თბ. 1948 წ. გვ. 7.

<sup>42</sup> დაცულია საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმში, ს. №7361, გვ. 1.

<sup>43</sup> **ი. გელენავა**. აფხაზეთში საბიბლიოთეკო საქმის განვითარების ისტორიისათვის XIX ს. სამეცნიერო კრებული: „საისტორიო ძიებანი“ VIII-IX. დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს. (ქართული პერიოდული პრესის მასალების მიხედვით)“, თბ. 2006. გვ. 191-208.

ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის და ანტიქართული ტენდენციებით ცნობილი ეპისკოპოს არსენის საიდუმლო მიმონერა. წერილი აშკარად მიუთითებს რუსი დიდმოხელის შემფოთებაზე აფხაზეთში „ქართული პარტიის“ ენერგიული მოქმედების გამო და ამბობს: მათ „...თავის მიზნად დაუსახავთ აფხაზეთისა და სამურზაყანოს სრულიად გაქართველება ქართული სკოლების დახმარებით და წირვალოცვის და ყოველივე მღვდელმსახურების ქართულს ენაზედ შესრულებით რაიც სრულიად უცნობია აფხაზთათვის.“<sup>44</sup> იმავე დროს ჟანდარმერიას აინტერესებდა, სდევნიდა თუ არა „ქართველთა პარტია“ იმ მღვდლებსა და მასწავლებლებს, რომლებიც მათ მოთხოვნას – დაენერგათ ქართული ენა ღვთისმსახურებასა და განათლების სფეროში, არ ასრულებენ და რამდენად ცდილობდნენ ისინი აფხაზეთის გაქართველებას.<sup>45</sup>

„ქართულ პარტიაში“, პედაგოგებთან ერთად შედიოდნენ: მღვდლებიც: დ. მაჭავარიანი, ი. კერესელიძე, ი. ჩხენკელი, ბეს. ხელაია და სხვ. როგორც დოკუმენტურად დასტურდება, „ქართული პარტია“, მეტად ენერგიულად მოღვაწეობდა აფხაზეთში, რამაც რუსი ჩინოვნიკების შემფოთება გამოიწვია. ეპისკოპოსი არსენიც თავის ერთ-ერთ ეპისტოლეში ჟანდარმერიის შეკითხვაზე პასუხობდა: „ეპარქიაში მცხოვრებნი ქართველები ყოვლის ღონისძიებით ცდილობენ დანერგვას სამურზაყანოსა და აფხაზეთში ქართველთა მოქალაქეობრიობის, რაშიაც სრულ დახმარებას უწევს მას სამღვდელოება, რომელნიც განსაკუთრებით ქართველთა და მეგრელთაგან შედგება. ამის დამამტკიცებელი საბუთი მრავალი მომეპოვება.“<sup>46</sup>

„ქართული პარტიის“ საქმიანობა რუსი ოფიციალური პირებისათვის აშკარად იყო „ბოროტება“, რომელიც ერთხელ

---

<sup>44</sup> წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 144.

<sup>45</sup> იქვე, გვ. 145.

<sup>46</sup> წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი. თბ. 2006, გვ. 147.



და სამუდამოდ საფუძვლიანად უნდა განადგურებულიყო.<sup>47</sup> რუსეთის ზენოლას მამულიშვილები მაინც არ შეუშინდნენ, რასაც ნათლად ცხადყოფს მათი შემდგომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პუბლიცისტური საქმიანობა.

მეფის ჟანდარმერიამ „ქართული პარტიის“ წარმომადგენლებზე დეტალური ინფორმაცია შეაგროვა და 1904 წლის მარტში მთავარმართებლის საბჭომ განიხილა ქართველი პატრიოტების მოღვაწეობა, რომლებიც „ქართული ენის დანერგვით ხელს უშლიდნენ“ აფხაზეთის მოსახლეობის იმპერიასთან შერწყმას. „ქართული პარტიის“ აქტივისტებს კავკასიის უვადო დატოვება მიესაჯათ.<sup>48</sup> ცარიზმის ანტიქართული საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ როგორც მთლიანად საქართველოში, ისე აფხაზეთში ენერგიულად იღვწოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, თუმცა მისი შესაძლებლობები ერთობ მოკრძალებული იყო და მას მუდამ უხდებოდა დიდი სიძნელების გადალახვა თავის პატრიოტულ საქმიანობაში, რათა რეგიონებში გახსნილიყო სკოლები ქართულ ენაზე.<sup>49</sup> ჩვენთვის ცნობილია, რომ 1903 წ. 10 ივნისს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის დადგენილებით, „სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე აღიძრა შუამდგომლობა სოხუმში სკოლის დაარსების შესახებ“<sup>50</sup>.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ბრძოლა უხდებოდა რუსი შოვინისტების აღვი-

---

<sup>47</sup> **ზ. პაპასკირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვეთი I. თბ., 2004., გვ. 228.

<sup>48</sup> **ჯ. გამახარია.** აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. გვ. 598-601.

<sup>49</sup> **ი. გელენავა.** თავისუფალი თვითმოქმედი საზოგადოებები აფხაზეთში 1900-1917 წლებში. სამეცნიერო კრებული: „საისტორიო ძიებანი“ VII. თბ. 2004. ჩვ. 156-167.

<sup>50</sup> ჩგაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 12 ივნისი.

რახსნილი წინააღმდეგობის დასაძლევად. ეს ადამიანები გაერთიანებულნი იყვნენ „ჭეშმარიტ რუსების კავშირში“, რომელსაც XX საუკუნის დასაწყისში ამ მხარეშიც საკმაოდ მყარად ჰქონდა ფეხი მოკიდებული. მათი მიზანი იყო, აღმოეფხვრათ ქართული დედაენის სწავლება სოხუმის ოლქში. ამ ანტიქართული საქმის მთავარი ინიციატორები იყვნენ: პროგულბაკი (ოლქის უფროსი), იასტრეხოვი, პროტოპოპოვი, ალფეროვი, გოლუბკოვი (სამოსწავლო საბჭოს წევრი) და სხვა.

ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა რაიმე ზიანი მიეყენებინათ საპასუხისმგებლო პოსტზე მყოფ ქართველობისათვის და ამ მიზნით აშკარა ცილისწამებასა და დაბეზლებას სჩადიოდნენ<sup>51</sup>.

აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ბრძოლა სასულიერო და საერო სასწავლებლებში ქართული ენის უფლებების აღსადგენად განსაკუთრებით გაძლიერდა 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში.

1905 წლის 17 დეკემბრის სოხუმის ოლქის სკოლების მასწავლებელთა I არალეგალური ყრილობა იყო სოხუმის ოლქის მასწავლებელთა პირველი მნიშვნელოვანი ცდა, სასკოლო რეფორმის თვითნებური, ცარიზმისათვის არც თუ ისე მისაღები, წესით გატარებისა.<sup>52</sup> ყრილობას ესწრებოდნენ ოლქის როგორც სამინისტრო უწყების, ისე საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებლები.<sup>53</sup> ყრილობა თუმცა არალეგალურად შეიკრიბა, მაგრამ თავისი მუშაობა ჩაატარა საქალაქო სკოლის დარბაზში. ყრილობაზე არ გამოცხადდნენ საშუალო

---

<sup>51</sup> არსენ ზვინგია. „მოგონებები“ (ხელნაწერები), რვეული №2. გვ. 54. დაცულია საქართველოს განათლების მუზეუმში, ს. 4669, გვ. 56.

<sup>52</sup> ნ. ვეკუა. მასწავლებელთა პირველი არალეგალური ყრილობა. გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1965, 28 დეკემბერი.

<sup>53</sup> ნ. ვეკუა. ქართველი და აფხაზი მოწინავე ინტელიგენციის ბრძოლა თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, სოხუმის პედ. ინსტიტუტის შრომები. 1956, IX. გვ. 152.

სკოლის (რეალური სასწავლებლის და ქალთა გიმნაზიის) მასწავლებლები. შეკრებილებმა განიხილეს ფრიად საყურადღებო საკითხები: სკოლის გამოყოფა ეკლესიისაგან და ყველა სკოლის სახალხო ეროვნულ სკოლად გამოცხადება; სასწავლო დისციპლინების სწავლება დედა-ენაზე და რუსული ენის სწავლების დატოვება სკოლებში როგორც ცალკე სასწავლო საგნისა; ბევრი ითქვა მასწავლებლის მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. მაგრამ ასეთი ეროვნული მიზნების რეალიზაციას მეფის მთავრობა ყოველთვის უპირისპირებდა საწინააღმდეგო ღონისძიებებს.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში ცარიზმი და სასულიერო უწყება დროებით დათმობაზე წავიდნენ და ნება დართეს სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე წარმართულიყო. ქართული ენა ისევ დაბრუნდა აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოსა და აჭარაში.<sup>54</sup> რუსეთის 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, ოფიციალური სამთავრობო სტრუქტურები ცდილობდნენ, გარკვეულწილად დაეკმაყოფილებინათ ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნა განათლებაზე.

1905 წლის რევოლუციურმა მოძრაობამ მეფის მთავრობისათვის უკვე სავსებით ნათელი გახადა, რომ სკოლა კოლონიურ ქვეყანაში ვერ გადაიქცა თვითმპყრობელობის ერთგული მოხელეების აღმზრდელად, ადგილობრივ ხალხთა ეროვნული გადაგვარების იარაღად, ამიტომ რუსი მოხელეები შეეცადნენ უფრო შენიღბული და რაფინირებული ფორმები გამოეყენებინათ.

1905-1907 წლების რევოლუციისა და მის შემდეგ პერიოდში განხორციელებულ კუდშეკვეცილი დემოკრატიული გარდაქმნების ფონზე აფხაზეთში აქტიურდება კულტურული ცხოვრება.

---

<sup>54</sup> გაზ. „ივერია“, 1906, №66.

სოხუმის ოლქში მოღვაწე ქართველი პედაგოგები ფართოდ მსჯელობდნენ აფხაზეთის როლსა და ფუნქციაზე საქართველოს ისტორიაში. ასე მაგალითად, პეტრე ჭარაიამ შეისწავლა აფხაზეთის ეთნოგრაფია და გამოაქვეყნა კაპიტალური მეცნიერულ-ეთნოგრაფიული ნაშრომი „აფხაზეთი და აფხაზები“<sup>55</sup> ნიკო ჯანაშიამ დაბეჭდა ეთნოგრაფიული წერილები „აფხაზები“; „აბრსკილი“,<sup>56</sup> „ამირანი“, „ხალხური აფხაზური გამოცანები“<sup>57</sup> და სხვა. მრავალი საინტერესო სტატია გამოაქვეყნეს აფხაზეთის შესახებ ივანე გეგამ,<sup>58</sup> ანთიმოზ ჯულელმა, თედო სახოკიამ,<sup>59</sup> მარიამ დადიან-ანჩაბაძემ<sup>60</sup> და სხვა მამულიშვილებმა, რომლებშიც საუბარი იყო ქართველთა და აფხაზთა ისტორიულ კავშირზე, მათ ნათესაობაზე.

აფხაზეთში, ქართველ მასწავლებლებთან ერთად, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ აფხაზი მასწავლებლებიც.<sup>61</sup> აფხაზი ბავშვებისათვის სანატრელი იყო აფხაზური ენა. მიმდინარეობდა მათი ასიმილაცია რუსების მიერ და აფხაზური ენის სრული უგულვებელყოფა. ის აფხაზი მასწავლებელი, ვინც არ უშინდებოდა მთავრობისაგან მოსალოდნელ სასჯელს და განაგრძობდა აფხაზი ბავშვების

---

<sup>55</sup> **კ. გეგეჭკორი.** ლიტერატურული საქართველო, 1964, 31 ივლისი.

<sup>56</sup> **გრ. შარია.** პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. საბჭოთა აფხაზეთი, 1962, 29 ივლისი.

<sup>57</sup> **არკადი ხუნდაძე.** ცნობილი ქართველი პედაგოგი ნიკო ჯანაშია, თბ., 1949. გვ. 28.

<sup>58</sup> სახალხო განათლება, 1946, №41.

<sup>59</sup> **ც. არდაშელია.** გოგებაშვილის ლაშქარი, განთიადი, 1989, №1, გვ. 252.

<sup>60</sup> სახალხო განათლების სახალხო მასწავლებლები და ქართველი მოღვაწეები, კრებული, III. გვ. 199.

<sup>61</sup> **ი. გელენავა.** ქართველი და აფხაზი ინტელიგენციის ერთობლივი ღვაწლმოსილება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღორძინებისათვის (1900-1917 წწ). სამეცნიერო კრებული „ანალები“ №4, თბ. 2009.

დედაენაზე სწავლებას, ათვალწუნებული ჰყავდათ განათლების მესვეურებს. ასეთი იყო თომა ქრისტიფოროს ძე ეშბა, რომელმაც სოფ. ბედიში მოღვაწეობის დროს, გახსნა სკოლა და იქ ასწავლიდა აფხაზურ ენას.<sup>62</sup>

საყურადღებოა იოსებ ვასილის ძე ლაკერბაის მოღვაწეობა, რომელიც სოფ. ლიხნში სკოლის გამგედ მუშაობდა, ასწავლიდა ბავშვებს აფხაზურ ენას.<sup>63</sup> გერასიმე ახმეტის ძე ეშბა ბრწყინვალედ ფლობდა აფხაზურ ენას, თარგმნიდა რელიგიურ ლიტერატურას, ნესტორ ბახვას ძე ქირთბაია მასწავლებლობდა ოტობაის ორკლასიან სასწავლებელში; მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად ოტობაიას სკოლა შემდეგში გადაკეთდა უმაღლეს დანყებით სასწავლებლად.<sup>64</sup> კონსტანტინე ვასილის ძე მარშანია მუშაობდა ტამიშის ორკლასიან სკოლაში, მისი ინიციატივით გაიხსნა სკოლები აფხაზეთის სხვადასხვა კუთხეში.<sup>65</sup>

ქართული ენა, რუსეთის ოფიციალობის მხრიდან ტოტალური დევნის გამო, საეკლესიო სამრევლო სკოლებსა შემორჩა, მოსახლეობაც ამიტომ აძლევდა უპირატესობას ამგვარ სკოლებს სახელმწიფო სკოლებთან შედარებით, რადგან იქ სწავლა ბავშვებისათვის გაუგებარ ენაზე (რუსულ ენაზე ი. გ.) მიმდინარეობდა.

რევოლუციურმა მღელვარებამ ფართო გამოძახილი ჰპოვა საქართველოს სხვადასხვა მხარეში, მათ შორის აფხაზეთში. მოწინავე მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა მასობრივად

---

<sup>62</sup> Газ. „Советская Абхазия”, 1977, 2 სექტემბერი.

<sup>63</sup> **Дзидзария Г. А.** Формирование дореволюционной абхазской интеллигенции, Сухуми, 1979, გვ. 111.

<sup>64</sup> **ა. სამხარაძე.** დასავლეთ საქართველოს პედაგოგების ბრძოლა ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ 1900-1907 წწ. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაცია, (ხელნაწერი), თბილისი, 1999, გვ. 105.

<sup>65</sup> **Дзидзария Г.А.** Формирование... გვ. 112.

დაინყეს ბრძოლა თავიანთი პოლიტიკური უფლებების, მშობლიური ენისა და კულტურის დასაცავად. „მასწავლებლობა“ მუშებთან და გლეხობასთან ერთად მონაწილეობდა მიტინგებსა და დემონსტრაციებში, ეწეოდა რევოლუციური იდეების პროპაგანდას მასებში. იღებდა მონაწილეობას შეიარაღებულ ბრძოლებშიც კი.<sup>66</sup>

ე. ნ. „ცირლკურალური წერილი“ – ადგილობრივი ენების სწავლების შესახებ“ გარკვეული, მართალია დროებითი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი დათმობა იყო ცარიზმის მხრიდან. მოსალოდნელი იყო, რომ ამ დათმობით დაუყონებლივ უნდა ესარგებლათ იმპერიაში შემავალ მცირე ერებს. სამურზაყანოში კი, კერძოდ გალის მეორეკლასიანი სკოლის საბჭოს სხდომაზე ეს ცირკულარი მხოლოდ 1907 წლის 17 მაისს განუხილავთ, ანუ „ცირკულარული წერილის“ გამოსვლიდან ერთი წლის თავზე<sup>67</sup>.

1907 წელს ფ. ხ. ეშბამ დაწერა აფხაზურ ენაზე სასწავლო წიგნი მათემატიკაში. 1908 წელს ა.მ. ჭოჭუამ შექმნა ახალი აფხაზური ანბანი, იმავე წელს გამოდის საკითხავი წიგნი აფხაზურ ენაზე. 1912 წელს რუსეთის არმიის ოფიცერმა, პირველმა აფხაზმა გეოგრაფმა მ. ლ. შერვაშიძემ დაასრულა აფხაზეთის რუკის შედგენა აფხაზურ ენაზე აფხაზური სკოლებისათვის (Апсны ахсаала). შექმნა სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. სოხუმში გამოიცემოდა რამდენიმე გაზეთი რომელთაგანაც მთავარს წარმოადგენენ „სუხუმსკი ვესტნიკ“ და „სუხუმსკი ლისტოკ“.<sup>68</sup>

---

<sup>66</sup> ი.გელენავა. სასულერო-სამრევლო სკოლები აფხაზეთში 1900 - 1917 წწ. ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი: „ლოგოსი“ IV, თბ. 2007. გვ. 209-220.

<sup>67</sup> კვიციანი ქსენია, პედაგოგიური განათლება..., გვ. 77.

<sup>68</sup> Инал-Ипа Ш. Д. Абхазы, Сух. 1965. გვ. 161.

გრძელდებოდა აფხაზურ ანბანის დახვეწაზე მუშაობა. 1892 წელს კ. მაჭავარიანმა და დ. გულიამ შეადგინეს ახალი აფხაზური ანბანი და გამოსცეს თბილისში. ეჭვგარეშეა, ქართველი მოღვაწეების თანადგომა აფხაზური დამწერლობის შექმნასა და გამოცემაში იყო ძმური გრძნობის გულწრფელი გამოვლინება აფხაზი ხალხისადმი. გულიას აზრით: „ეს ანბანი აფხაზურმა სკოლებმა ნახეს პირველად და მისი საშუალებით აფხაზმა ბავშვებმა დაიწყეს სწავლა მშობლიურ ენაზე. გამოჩინდა საშუალება მშობლიურ ენაზე ხალხთან საუბრისა“. <sup>69</sup> მაგრამ ამ ანბანმა მაინც ვერ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი აფხაზი მოსახლეობის განათლების საქმეში, რადგანაც ცარიზმი არ იყო მოწოდებული ეროვნული მიზნების განვითარებისათვის. მისი მიზანი რეგიონის რუსიფიკაცია იყო. <sup>70</sup> ამგვარად, აფხაზ ხალხს XX საუკუნის დასაწყისში, პირველად მიეცა საშუალება ეკითხა თავის ენაზე მხატვრული ნაწარმოებები. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში აფხაზებს გვერდში ედგნენ და შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდნენ ქართველები. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში აფხაზური წიგნების ძირითადი ნაწილი თბილისშია გამოცემული. <sup>71</sup>

რევოლუციის დამარცხების შემდეგ ცარიზმმა, სადაც შესძლო – რევოლუციური მონაპოვარი გააუქმა, მათ შორის განათლების სისტემაშიც. მსოფლიო ომის მოახლოებამ, შოვინიზმისა და ნაციონალიზმის პროპაგანდამ განსაკუთრებით გაააქტიურა რუსიფიკატორული პოლიტიკა. როგორც აღვნიშნეთ, აფხაზეთის მოსახლეობის გარუსება ცარიზმის უმნიშ-

---

<sup>69</sup> Гулия. Д. История Абхазии, Т.1. Тифлис, 1925, გვ. 21.

<sup>70</sup> Геленава И. Эскизы из истории культурной жизни Абхазии 1900-1917 гг. Международный научный журнал „Кавказ и мир“ №3, Тб. 2009.

<sup>71</sup> ი. გელენავა. აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან (1917-1921), თბ. 2003, გვ. 26-33.

ენელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა, ამ მიზნის მისაღწევად მისთვის ერთ-ერთი საშუალება, ბუნებრივია, ეკლესიაც იყო,<sup>72</sup> თუმცა ამ საქმეში სერიოზულ დაბრკოლებას ქმნიდა ქართული ენა, რადგან საუკუნეების განმავლობაში აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე წირვა-ლოცვა აღესრულებოდა ქართულად,<sup>73</sup> საეკლესიო ლიტურატიურაც და საგალობლებიც ქართულ ენაზე იყო შექმნილი. მართალია, გვიან შუა საუკუნეებში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ აფხაზეთზე კონტროლის დაკარგვამ, ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ჩამონოლამ, მაჰმადის რჯულისა და წარმართობის გავრცელებამ სერიოზული დარტყმა მიაყენა ადგილობრივი მოსახლეობის მართლმადიდებლურ აღმსარებლობას, მაგრამ ქართული საეკლესიო ტრადიციები კვლავ ძლიერი იყო აფხაზეთის რიგ რეგიონებში. ადგილობრივი მოსახლეობის განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევდა წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე. აი რას წერდა იმჟამინდელი კორესპონდენტი: „გუდაუთში არის ექვსასი მცხოვრები, ამათგან რუსი და სომეხი ორმოცდაათამდე იქნება, დანარჩენი ყველა ქართველია. ამდენ ქართველს ათი წელიწადი იქნება, ქართული წირვა-ლოცვა არ მოუსმენია. მონატრებული ვართ ჩვენებურს გალობას, მშობლიურ ხმებს. უმეტესობას არ გვესმის რუსული ანდა სლავიანური, წირვა ლოცვაც ხომ არავის ესმის ჩვენთაგან. ამნაირად ვიტანჯებით ამდენი მოსახლე კაცი. დიდს მადლს

---

<sup>72</sup> იხ. ვრცლად: **Геленава И.** О некоторых аспектах религиозно-просветительной политики царизма в Абхазии (1900-1917). სამეცნიერო ჟურნალი: „საისტორიო ვერტიკალები“ №9, ტბ. 2005. გვ. 81-88.

<sup>73</sup> **I. Gelenava.** Some Episode of Cultural and Educational Activities in Abkhazia (1900-1917). Международный научный журнал „Кавказ и мир“ №8, ტბ. 2010. გვ. 103-105.



გვიზამდნენ, თუ უმაღლეს მთავრობის ყურამდე მიიტანდნენ ჩვენს გაჭირვებას“<sup>74</sup>.

ამ პერიოდისათვის აფხაზეთში სულ 74 ეკლესია იყო, მათგან გუდაუთის უბანში 13, გუმისთისაში – 14, კოდორისაში – 16, სამურზაყანოში – 31, მათში მღვდლად მსახურობდა 60 ქართველი, 7 ბერძენი 5 რუსი და 2 აფხაზი ეროვნების,<sup>75</sup> ეკლესიები დაზიანდა რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ომის შემდგომ აქტიურად დაიწყო მათი აღდგენა, ამ მხრივ დიდი ღვაწლი გასწია ეპისკოპოსმა გაბრიელმა. აღდგენილ იქნა ოჩამჩირის, გუდაუთის, მერხეულის და სხვა ეკლესიები.<sup>76</sup>

აფხაზეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი მაჰმადიანურ მოძღვრებას აღიარებდა. ვითარებას ართულებდა თურქი მოკლეების მოძალეობაც. ისლამის აქტიური პროპაგანდისტები ხდებოდნენ სამშობლოში დაბრუნებული მუჰაჯირები, რაც აფხაზურ მოსახლეობაში ისლამის პოპულარიზაციას და ქრისტიანობის დასუსტებას უწყობდა ხელს. ისლამიზაციის კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტორი იყო აფხაზი ხალხის დამნაშავე ერად გამოცხადება (1880 წ. 31 მაისი), მასთან დაკავშირებული სოციალური თუ პოლიტიკური შეზღუდვები, მხარის კოლონიზაცია.<sup>77</sup>

უნწინდესი სინოდის 1898 წლის 3 სექტემბრის განკარგულებით დადგინდა, რომ ღვთისმსახურება ტაძრებში იქ სადაც მრევლი იყო აფხაზურენოვანი აღესრულებინათ სლავიანურ ენაზე.<sup>78</sup>

---

<sup>74</sup> გაზ. „ივერია“, 1902 წ. 14 დეკემბერი.

<sup>75</sup> წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი. გვ. 385-391.

<sup>76</sup> წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი და აფხაზეთი. ჩიბ. 2007, გვ. 64, 631-632.

<sup>77</sup> ვ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. გვ. 516-17.

<sup>78</sup> ზ. პაპასკირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვეთი I, გვ. 228.

ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას მხარის გარუსებაში ქართული სამღვდელოება წარმოადგენდა, რადგან ჯერჯერობით მათ ხელში ისევ რჩებოდა „ისეთი ძლიერი საშუალებები როგორცაა ეკლესია და სკოლა“, ამისათვის კი საჭირო იყო ეკლესიისა და სკოლის წართმევა ქართული სამღვდელოებისათვის. ამ მიზნით მეფის ხელისუფლება მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში.<sup>79</sup>

აღნიშნულ საკითხს ეხება ქუთაისის გუბერნატორი თ. გერშელმანი, რომელიც ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის გამტარებელი იყო. თავის ერთ-ერთ საიდუმლო წერილში, ის დაუფარავად ააშკარავებს რუსეთის დიდმპყრობელურ მიზნებს: აფხაზეთში „ერთადერთი რადიკალური ღონისძიება ამ მიმართებით იქნება ის, რომ გამოვგლიჯოთ სკოლა და ეკლესია ქართულ საზოგადოებას ხელიდან, რომ წირვა-ლოცვა სკოლებსა და ეკლესიებში ტარდებოდეს სლავიანურ ენაზე...“<sup>80</sup> ამასთან მეტად მნიშვნელოვანია აფხაზეთში რუსული ენის დასაწერად მის წერილში ხაზგასმული მოთხოვნაც: „...რუსული ენის დანერგვა ეპარქიაში, ასევე ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ზნეობრივ და გონივრულ განვითარების დონის ამაღლებას. ასევე საჭირო და აუცილებელია სოხუმის სკოლებში ქართველი მასწავლებლები შეიცვალოს რუსული წარმომავლობის მასწავლებლებით. ყოველივე ეს მომავალში ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის შერწყმას, შეერთებას რუს მოსახლეობასთან“.<sup>81</sup>

---

<sup>79</sup> ზ. პაპასკირი, ნარკვევები..., ნაკვ. I, გვ. 228.

<sup>80</sup> ვკ. ტოლიაშვილი. რუსეთის სინოდის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთსა და შიდა ქართლში (XIX საუკუნის 80-იანი – 1917 წწ.), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაცია (ხელნაწერი), თბ., 2005. გვ. 35.

<sup>81</sup> იქვე, 35.

რუსეთის მიერ საეკლესიო პოლიტიკის გატარებას ეწინააღმდეგებოდნენ „მწყემსნი კეთილნი“;<sup>82</sup> ამ მხრივ განსაკუთრებულად აღსანიშნავია ეპისკოპოს კირიონის მოღვაწეობა. აფხაზეთში კირიონის მოღვაწეობის რამდენიმე თვე შეადგენს მთელს ეპოქას აფხაზეთის საეკლესიო ცხოვრებაში.

ეპისკოპოსმა იმთავითვე უარყო რუსი მღვდელმთავრების მიერ დანერგილი იძულებითი „გაქრისტიანების“, მონათლულთა ყალბი სიების შედგენის მანკიერი პრაქტიკა და მთელი ყურადღება მრევლთან შეხვედრებზე, ქადაგებებზე, ახალი სამრევლოების გახსნაზე, ეკლესიების აღდგენა-მშენებლობაზე გადაიტანა. იგი ჩქარობდა სოხუმში აშენებინა „ორი შეუპოვარი სიმაგრე ქართველი ეროვნებისა“ – ეკლესია და სკოლა.

კირიონის – ცხუმელი ეპისკოპოსის ერთ-ერთი მთავარი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან ყველა ეროვნების მრევლს – ქართველებს, რუსებს, ბერძნებს – საკუთარ ენაზე ღვთისმსახურების პირობები შეუქმნა. რათა ასეთივე შესაძლებლობა აფხაზებსაც რომ ჰქონოდათ, კირიონმა ჩამოაყალიბა და ინტენსიურად აამუშავა საეკლესიო ლიტერატურის აფხაზურ ენაზე მთარგმნელი კომისია.<sup>83</sup>

მეფის ხელისუფლებამ ყველა შესაძლო ხერხი გამოიყენა, რომ დიდი მამულიშვილი აფხაზეთისათვის ჩამოეშორებინა, რის შემდეგაც ქართველი დიდ ხანს არ ყოფილა ცხუმის კათედრის წინამძღოლად.

როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალით დასტურდება, დემოკრატიული რევოლუციის დროს ცარიზმი გარკვეულ

---

<sup>82</sup> **I. Gelenava.** Confessor as the Realizator of the Integration of Cultures (Example of Abkhazia, Borders of the Nineteenth-Twentieth Centuries). Dialogue of Civilizations, New York, 2010.

<sup>83</sup> წმინდა მღვდელმონაქე კირიონ II და აფხაზეთი, თბ., 2006, გვ.32-33.

დათმობებზე წავიდა და შეარბილა აფხაზეთში თავისი შოვინისტური პოლიტიკა, მაგრამ როგორც კი რევოლუციური მღელვარება შენელდა, დაიწყო რეაქციის პერიოდი, გაძლიერდა კოლონიზატორული პოლიტიკა, გამოვლინდა ცარიზმის გამთიშველი პოლიტიკის პირველი მნიშვნელოვანი შდეგი – აფხაზეთა შორის გამოჩნდნენ ანტიქართული, პრორუსული განწყობის ადამიანები. ისინი, როგორც აღვნიშნეთ, არაფრით ჰგავდნენ იმ აფხაზებს, რომლებიც დაუმორჩილებას უცხადებდნენ ცარიზმს, რის გამოც სასტიკად და ვერაგულად გაუსწორდა მეფის ხელისუფლება. თუმცა აფხაზების დიდი ნაწილი, კვლავ მხარს უჭერდა საქართველოსთან ისტორიული კავშირის შენარჩუნებას, ამისი აშკარა დადასტურებაა 1916 წელს აფხაზი დეპუტაციის თბილისში სტუმრობა.

## ნონა შონია

გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის უფროსი

### რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკა ოკუპირებულ გალის რაიონში

ისტორიულ სამურზაყანოში 1851 წლიდან გახსნილ პირველ საგანმანათლებლო კერებში – ოქუმში, ბეღიაში, დიხაზურგაში, გუდავაში, ნაბაკევეში, საბერიოში, მოგვიანებით გალის რაიონის სხვა სოფლებში გახსნილ საეკლესიო-სამრევლო სკოლებში („церковно – приходские школы“) მღვდელ-მისიონერები მოსწავლეებს მშობლიურ – ქართულ ენაზე ასწავლიდნენ. მიმდინარეობდა რუსული ენის სწავლებაც. მე-19 საუკუნის 70-80 -იანი წლებიდან რუსეთმა გამოავლინა მკაცრი პოლიტიკური რეაქცია და 1867 წელს გამოცემული ბრძანებით კავკასიის სკოლების მასწავლებლები, მათ შორის სამურზაყანოელებიც, აიძულა, მხოლოდ რუსულ ენაზე ესწავლებინათ საგნები.

წინამდებარე ნაშრომი ასახავს შორეულ წარსულში დაწყებული რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკის გაგრძელებას ოკუპირებული აფხაზეთის გალის რაიონში და ქართველი მხარის შემართებას ქართული სულისკვეთების შენარჩუნებისათვის.

გალის რაიონში აფხაზეთის ომამდე 58 სკოლა ფუნქციონირებდა. მათ შორის: 39 საშუალო, 11 – არასრული საშუალო, 7 – დაწყებითი, ერთი-სალამო. საკონსულტაციო ცენტრები იყო გახსნილი მუხურის, აჩიგვარისა და ოტობაიის სკოლებში.

13 180 მოსწავლის სწავლა-განათლებას უძღვებოდა 1638 მასწავლებელი და 206 ტექნიკური მუშაკი; სკოლამდელი ასაკის 1125 ბავშვი იზრდებოდა 76 საბავშვო ბაღში, სადაც

300-მდე აღმზრდელი და მომსახურე პერსონალი მუშაობდა. აღნიშნული 58 სკოლიდან რუსულენოვანი იყო: გალის №3, გინძე ენერის, კობორის საშუალო; რუსულ-ქართული: აჩიგვარის №2, საბერიოს №2 საშუალო; ქართულ-რუსულ-აფხაზური : ჩხორთოლის საშუალო.

დანარჩენ სკოლებში სწავლა მშობლიურ ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

ომმა დიდი ზარალი მიაყენა გალის რაიონის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურას. დაიწვა 19 სკოლა:

1. გუდავის №1 საშუალო
2. გუდავის №2 საშუალო
3. ნაბაკევის საშუალო
4. ბედიის საშუალო
5. დიხაზურგის საშუალო
6. სიდის საშუალო
7. რეჩხი-ცხირის
8. გაგიდის საშუალო
9. ლეკუმხარის არასრული საშუალო
10. საბერიოს არასრული საშუალო
11. ოქუმის არასრული საშუალო
12. რეფის არასრული საშუალო
13. თაგილონის №1 არასრული საშუალო
14. თაგილონის №2 არასრული საშუალო
15. ფართონოხორის დაწყებითი
16. ნალამუს დაწყებითი
17. ქყონხუმლის დაწყებითი
18. სიდის დაწყებითი
19. სათანჯოს დაწყებითი

საომარი მოქმედების დროს, სოფლებისა თუ დასახლებული პუნქტების გადანვლისა და მშვიდობიანი მოსახლეობის

გამოდევნის, გაუკაცრიელების, შენობა-ნაგებობების განადგურების შემდეგ, შეუძლებელი გახდა რაიონის დიდი ისტორიის მქონე უძველესი სკოლების, სკოლამდელი და კულტურულ -საგანმანათლებლო დაწესებულებების აღდგენა. ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან ცნობილი სოფელი გუდავა, სადაც ომამდე 3 სკოლა ფუნქციონირებდა, მთლიანადაა გადამწვარი და გაუვალ ტყედ ქცეული.

არაერთი სახელოვანი მამულიშვილის აღმზრდელი გალის №2 საშუალო სკოლა რუსეთის „სამშვიდობო“ ცისფერ-ჩაფხუტიანმა ჯარისკაცებმა გაძარცვეს.

აკადემიკოს ილია ვეკუას მშობლიურ სოფელ შეშელეთში, მცდელობის მიუხედავად, მოსახლეობის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა სასწავლო პროცესის აღდგენა. აფხაზმა „ბოევიკებმა“ შეშელეთის სკოლის არა მარტო სასკოლო ნაგებობა, არამედ ეზოს დამამშვენებელი ასწლოვანი ხეები და ნარგავებიც გაანადგურეს.

გალის ყოფილ №1 და ჭუბურხინჯის №1 საშუალო სკოლებში, 2008 წლამდე, რუსეთის „სამშვიდობო ჯარი“ იყო განთავსებული. 2008 წლიდან ეს „სამშვიდობო ნაწილები“ სკოლებიდან გავიდნენ და რაიონის სხვადასხვა ადგილებში განთავსდნენ. გალის №1 სკოლა დროებით „ბოევიკებმა“ დაიკავეს, 2010 წლიდან იქ გალის №2 (ყოფილი №4) სკოლა გადავიდა. ჭუბურხინჯის №1 სკოლაც დაუბრუნდა მშობლიურ შენობას.

მასწავლებლებმა მშობლების დახმარებით განმინდეს დანაგვიანებულ – დარბეული შენობები, სასწავლო დგამ-ავეჯი და განაგრძეს მუშაობა.

2001 წლიდან საერთაშორისო ორგანიზაციების: გაეროს უმაღლესი სამხედრო კომისარიატის გალის ოფისის, ნორვეგიისა და დანიის ლტოლვილთა საბჭოების და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით ნაწილობრივ გადაი-


ხურა და შეკეთდა ის სასკოლო შენობები, სადაც განახლდა სასწავლო პროცესი.

2011 წლისთვის გალის რაიონის პირვანდელ (ომამდელ) საზღვრებში აღდგენილია სულ: 31 სკოლა. მათ შორის 2 საბაზო. ამ სკოლების 4202 მოსწავლის სწავლა-აღზრდას ემსახურება 733 მასწავლებელი, 158 ტექნიკური მუშაკი.

6 საბავშვო ბაღი: ოქუმში, გალში, მზიურში, ზემო ბარლებში, სიდასა და საბერიოში. მათში ირიცხება 300 აღსაზრდელი, 57 მასწავლებელი და მომსახურე პერსონალი.

აღდგენილია ასევე: სამუსიკო სკოლა გალში, გალის სამუსიკო სკოლის ფილიალები საბერიოსა და ზემო ბარლებში, სამხატვრო სკოლა, გალის კულტურის სახლი ქორეოგრაფიული და სამხატვრო სტუდიებით, ხალხური ცეკვებისა და სიმღერების ანსამბლებით და სხვა.

### სტატისტიკური მონაცემები ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების შესახებ 2005 – 2011 წწ.





ეს დიაგრამა ასახავს სკოლების, მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ტექნიკური პერსონალის რაოდენობას 2005-2011 წლების მიხედვით.

1993 წლის სექტემბრიდან აფხაზეთის სეპარატისტულმა რეჟიმმა, ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობის განდევნის შემდეგ გალის რაიონი თვითნებურად გალის ე.წ. ზედა და ქვედა, ტყვარჩელის, ოჩამჩირის ზონებად დააქუცმაცა. სკოლებიც შესაბამისად გადანაწილდა:

„გალის ზედა ზონას“ მიკუთვნებული სკოლები:	„გალის ქვედა ზონაში“ შემავალი სკოლები:	ტყვარჩელის რაიონის მიკუთვნებული სკოლები:	ოჩამჩირის რაიონის მიკუთვნებული სკოლა
1. გალის №1 საშუალო	1. ზემო ბარლების საშუალო	1. ოქუმის საშუალო	1. აჩიგვარის საშუალო
2. გალის №2 საშუალო	2. ქვემო ბარლების საშუალო	2. ლუმურიშის საშუალო	
3. შიურის (ამჟამად მოისხენიებენ შამიკვარის სკოლად)	3. თაგილონის საშუალო	3. რეჩხის საშუალო	
4. ჭუბურხინჯის №1 საშუალო	4. ოტობაიის №1 საშუალო	4. რეჩხი-ცხირის საშუალო	
5. ჭუბურხინჯის №2 საშუალო	5. გაგიდის საშუალო	5. ნარინჯოვანის (პირველი გალის) საშუალო	
6. საბერიოს №1 საშუალო	6. სიდის საშუალო	6. კობორის საშუალო	
7. საბერიოს №2 საშუალო	7. ფიჩორის საშუალო	7. წარჩის №1 საშუალო	
8. ლეკუხონის საშუალო	8. თაგილონის საბაზო	8. წარჩის №2 საშუალო	
9. დიხაზურგის საშუალო	9. განახლების საბაზო	9. ხორთოლის საშუალო	
	10. ნაბაკევის – აფხაზეთის №13 საჯარო	10. მუხურის საშუალო	
	11. ოტობაიის №2 - აფხაზეთის №16 საჯარო		

ოკუპირებულ გალის რაიონში აღდგენილ 31 სკოლაში დასაქმებული 733 მასწავლებლიდან 689 ქართველია. რუსული განათლება, რუსეთის სხვადასხვა სასწავლებელში, მიღებული აქვს მხოლოდ 57-ს. 676 მასწავლებელი ქართული განათლებითაა. მათ აიძულებენ კვალიფიკაცია „აიმალონ“ „გალის ჰუმანიტარულ კოლეჯში,“ წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მათი ჩანაცვლება ახალი კადრებით. სპეციალური პედაგოგიური უმაღლესი განათლებითაა 518; არასპეციალისტი, მათ შორის საშუალო და კოლეჯდამთავრებული – 215. ამ უკანასკნელთა დასაქმება აღდგენილ სკოლებში განაპირობა რაიონში სათანადო კადრების დეფიციტმა.

4202 მოსწავლიდან ქართველია 4143.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სეპარატისტულმა რეჟიმმა გალის რაიონის მოსახლეობის გარუსების პოლიტიკა, აფხაზეთის ომის შემდეგ, წარმატებით განაგრძო. 1994 წლიდან ოკუპირებული გალის ე.წ. „განათლების განყოფილების“ ბრძანებით, სავალდებულო გახდა რუსული დაწყებითი კლასების გახსნა და წერა-კითხვის დაწყება რუსული „აზბუკით“. ქართული მაღალი კლასების გამოშვების შემდეგ, „რუსული პირველი კლასის“ გახსნის ამ პრინციპმა გალის ე.წ. ზედა ზონის ყველა სკოლა რუსულენოვანი გახადა. ბავშვებს დაურიგეს რუსეთის ფედერაციის სკოლებისათვის განკუთვნილი რუსული სახელმძღვანელოები, ხოლო ქართველი მასწავლებლები, რომლებმაც ჯერ სკოლა, შემდეგ უმაღლესი სასწავლებელი ქართულად დაამთავრეს, წლების განმავლობაში ქართულად ასწავლიდნენ საგნებს, აიძულეს რუსულად, ასწავლონ აფხაზეთის დამახინჯებუ-

ლი ისტორია და გეოგრაფია, რუსეთის ისტორია და გეოგრაფია, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა და სხვა საგნები.

ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელი საზღვრების სკოლებში აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის განათლების სამინისტროს ბრძანებით მოქმედებს სხვადასხვა სასწავლო გეგმა:

1. რუსულენოვანი სკოლებისთვის (ე.წ. ტყვარჩელისა და ოჩამჩირის ზონა)
2. გალის „ზედა და „ქვედა ზონის“ სკოლებისთვის

№1 გეგმის მიხედვით, „ტყვარჩელის და ოჩამჩირის ზონის“ ყველა სკოლა გადაყვანილ იქნა რუსულენოვან სწავლებაზე. მშობლიური ქართული ენა ამ გეგმით საერთოდ არ ისწავლება.

№2 გეგმის მიხედვით, გალის „ზედა ზონაში“ მშობლიური ქართული ენა ისწავლება როგორც რიგითი საგანი. საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შედარებით შემცირებულია მისი საათები (მთელი 25 საათით), სამაგიეროდ გაზრდილია დრო რუსული ენის შესასწავლად.

„ტყვარჩელისა და ოჩამჩირის ზონებში“ მოქმედი სასწავლო გეგმით რუსულ ენას კვირაში 61 საათი უჭირავს, „გალის ზედა ზონაში“ – 54; „ქვედა ზონაში“ – 56.

უცხო ენას (ინგლისური ან გერმანული) V-XI კლასებში, „ტყვარჩელის, ოჩამჩირისა და გალის ზედა ზონის“ სკოლებში სასწავლო გეგმით ეთმობა კვირაში 18 საათი, „გალის ქვედა ზონაში“ – მხოლოდ 14 საათი.

ქალაქის №1 (ყოფილი №3) სკოლაში ქართულ ენა V-VI კლასებში, მხოლოდ 2 საათით, ისიც ფაკულტატიური სწავლების სახით, ტარდება.

საგულისხმოა, რომ აფხაზური ენის სწავლებას ორჯერ უფრო ნაკლები დრო ეთმობა, ვიდრე რუსულს: 28 საათი – „ტყვარჩელის ზონაში,“ 29-საათი „გალის ზონის“ სკოლებში, 27 – საათი „გალის ქვედა ზონაში“. ამ საგანს წლების განმავლობაში არასპეციალისტები უძღვებიან. მათ საათობრივი ანაზღაურების გარდა, ჯილდოს სახით, დამატებით გასამრჯელოსაც უხდიან (რუსულ რუბლებში).

ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების მასწავლებლებს ეკრძალებათ საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება. გაკვეთილები ამ საგნებში არაღელვარულად ტარდება.

სკოლებში ყოველწლიურად ტარდება გამოსაშვები მე-11 კლასის გამოცდები რუსულ ენაში (წერა), რუსულ ლიტერატურაში (ზეპირი), მათემატიკაში (წერა), აფხაზურ ენაში (ზეპირი), აფხაზეთის ისტორიაში (ზეპირი). ასევე, 4 გამოცდა – მე-9 კლასში: რუსული წერა, მათემატიკა, აფხაზური ენა, აფხაზეთის ისტორია.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ვითარება ოკუპირებულ გალის რაიონში უფრო დაიძაბა. თუ „ტყვარჩელისა და ოჩამჩირის ზონებში“ მოქცეული სკოლების მასწავლებლები თავიანთ მოსწავლეებს 2008 წლის აგვისტომდე არაღელვარულად მაინც ასწავლიდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას და სხვა საგნებს ქართულ ენაზე, რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, ქართული ენისა და ლიტერატურის 26 მასწავლებელი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. სხვა მასწავლებლებს კატეგორიულად აეკრძალათ გაკვეთილების ქართულ ენაზე ჩატარება. როგორც „გალის ზედა ზონაში“, ქართველ პედაგოგებს აქაც აიძულებენ მათთვის უცხო რუსულ ენაზე ასწავლონ საგნები რუსეთის ფედერაციის სკოლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებით.

მიუხედავად ამისა, პატრიოტი პედაგოგები მაინც ახერხებენ ქართული ენის არალეგალურად სწავლებას. ამ დროს საკლასო ოთახის კარებთან თუ სკოლის ჭიშკართან მორიგეები დგანან, დროულად რომ ამცნონ მასწავლებელს არასასურველი სტუმრის მოახლოება, ბავშვებმა კი მოასწრონ ქართული სახელმძღვანელოების გადამალვა.

ქართული ენის დევნის და ქართველი მასწავლებლების შევიწროების მიზნით, გახშირდა სკოლების შემონმეხები არა მარტო ადგილობრივი „განათლების სამსახურიდან“, არამედ ძალოვანთა მხრიდანაც. დანარჩენ საქართველოსთან ურთიერთობის, ღონისძიებების ქართულად ჩატარებისა და ქართული სასკოლო თუ კლასგარეშე სახელმძღვანელოების გამოყენების, ქართულ მხარესთან თანამშრომლობის გამო სამაგალითოდ დაისაჯნენ სკოლების დირექტორები და მასწავლებლები (გვარსახელებს შეგნებულად არ ვასახელებთ); „ანტიკონსტიტუციური ქმედების და სახელმწიფოს ღალატის გამო“, ზოგი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობებიდან, ნაწილი ენგურს აქეთ გამოაძევეს.

„ტყვარჩელისა და ოჩამჩირის ზონის“ სკოლების კურსდამთავრებულ ქართველ ბავშვებს ე.წ. აფხაზურ ატესტატებში მშობლიურ ენად რუსული ენა ეწერებათ.

სკოლების აღდგენიდან, დაახლოებით 2005 წლამდე, ქართული ენის სწავლებისა და საერთოდ, სასწავლო პროცესის ქართულად წარმართვის კუთხით, შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო შენარჩუნებული „გალის ქვედა ზონის“ სკოლებში. აფხაზურმა მხარემ თანდათან გაიმყარა პოზიცია და ცდილობს „გალის ქვედა ზონაშიც“ ისეთივე პოლიტიკა გაატაროს, როგორსაც ატარებს „ზედა ზონაში“. უნდა აღინიშნოს, რომ რუსულენოვანი პირველი კლასის გახსნის მეთოდმა მასწავლებელთა მტკიცე და უშიშარი პოზიციის გამო აქ ფეხი ჯერჯერო-

ბით ვერ მოიკიდა. სამწუხაროდ, მუდმივი ზენოლისა და შვეინ-როების ვითარებაში „ქვედა ზონის” სკოლებმა სხვა ბევრ საკითხში ვერ შეძლეს წინააღმდეგობის განევა.

„გალის ქვედა ზონის” სკოლებშიც გალის აფხაზურმა ადმინისტრაციამ დაანესა გამოსაშვები გამოცდების ჩატარება IX-XI კლასებში. გასულ წლებში აქ ტარდებოდა ქართული ენის წერიტი გამოცდა (წაკითხული მარტივი ტექსტის შინაარსი) გამოსაშვებ XI კლასში. მიმდინარე წელს ქართული ენის გამოცდა მხოლოდ მე-9 კლასში დაუშვეს.

„ქვედა ზონაშიც” ისწავლება აფხაზეთის ისტორია და გეოგრაფია, თანდათან იზრდება რუსული და აფხაზური ენისთვის განაწილებული საათების რაოდენობა. გალის „განათლების განყოფილების” მხრიდან გახშირდა გაკვეთილებზე დასწრება, ღია გაკვეთილები, მათ შორის ქართულშიც, მიმდინარეობს კომპლექსური შემონმებები მოძველებული მეთოდებით; დირექტორებს და მოადგილეებს იბარებენ თათბირებზე, მოსწავლეებს რთავენ სხვადასხვა ღონისძიებაში, მასწავლებლებს მოსკოვიდან მოწვეული რუსი სპეციალისტები უტარებენ სემინარებს; ბავშვებს თვითშემოქმედებითი კოლექტივების დათვალიერებაზე, უკრძალავენ ქართული სიმღერებისა და ცეკვების შესრულებას. კურსდამთავრებულებს „აფხაზურ ატესტატებში” მშობლიურ ენად აქაც რუსული ეწერებათ.

სეპარატისტული აფხაზეთის „განათლების მესვეურთა” გადაწყვეტილებით, ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელი საზღვრების ქართველ კურსდამთავრებულებზე გაცემულ აფხაზურ ატესტატებში მშობლიურ ენად რუსულის დაფიქსირება ოკუპანტის ენის იძულებით აღიარებას ნიშნავს და კიდევ ერთ ხელ უსვამს ხაზს რუსიფიკატორული პოლიტიკის მიზანმიმართულობას – რუსეთის განუყოფელ ნაწილად აქციოს აფხაზეთი, ხოლო „ზედა და ქვედა ზონების” სკოლებში ქართული ენის

ღია გაკვეთილების ჩატარება და ქართული ენის რიგით ენად სწავლება საერთაშორისო საზოგადოების წინაშე იმის დემონსტრირების მცდელობაა თითქოს არ ილახება ეთნიკურ ქართველთა უფლებები, არ იკრძალება მშობლიური ქართული ენა. რეალური სურათი კი ოკუპირებულ გალის რაიონში სულ სხვაგვარია.

აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის ე.წ. განათლების სამინისტროს 2005 წლის 3 ივნისის №75 ბრძანებით ყველა სკოლას ჩამოეხსნა ქართულენოვანი აბრა და აეკრძალა სასკოლო დოკუმენტაციის წარმოება 2 სახელმწიფო ენის – რუსულისა და აფხაზურის გარდა სხვა, ანუ ქართულ ენაზე. ამ ბრძანების შესაბამისად, მთლიანად გალის რაიონის ომამდელი საზღვრების სკოლებში სასკოლო დოკუმენტაცია რუსულ ენაზე ინარმოება. საკლასო ჟურნალების გარეკანზე აღნიშნულია წარწერები: „რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტრო“ ან „კრასნოდარის მხარის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი“. ქართულად წარმოებული დოკუმენტები, საარქივო მასალა ბევრი სკოლიდან იქნა ამოღებული და განადგურებული. ამ ფაქტის გამო ხშირად ვერ ხერხდება კურსდამთავრებულთა განათლებაზე ჭეშმარიტების დადგენა.

გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო, რომელიც 2007 წლის აპრილში შეიქმნა, ძალისხმევას არ იმუშრებს, რათა ოკუპირებულ გალის რაიონში ხელი შეუწყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო საგანმანათლებლო სტრატეგიის განხორციელებას, ქართული ენისა და ქართული სულისკვეთების შენარჩუნებას. დღეს ეს რესურსცენტრი წარმოადგენს ხიდს, რომელიც ენგურს გალმა დარჩენილ აფხაზეთს აკავშირებს დანარჩენ საქართველოსთან.

2007-2009 წლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის მხარდაჭერით, ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების სასარგებლოდ მრავალი პროექტი განხორციელდა: პირველკლასელებზე სახელმძღვანელოების, ჩანთების, სასკოლო ფორმების გადაცემა; პრეზიდენტის პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში წარჩინებულ მოსწავლეებზე პორტატული კომპიუტერების გადაცემა; სასკოლო ბიბლიოთეკების კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურით მომარაგება; „ირმის ნახტომის“ კომპიუტერებით სკოლების ნაწილობრივი უზრუნველყოფა; სკოლებისთვის სპორტული ინვენტარების, სასკოლო სახელმძღვანელოებისა და ვიდეომასალების, მუსიკალური საკრავების გადაცემა და სხვა.

2009-2010 წლებში 4214 მოსწავლისათვის ოკუპირებულ ტერიტორიაზე 262 ათას ლარამდე ღირებულების 37 637 ქართული წიგნის გადაგზავნამ ქართველ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს მისცა შესაძლებლობა, ისარგებლონ თანამედროვე გრიფირებული სახელმძღვანელოებით.

პროექტებისა და პროგრამების განხორციელება, სასკოლო ნივთების და სახელმძღვანელოების გადატანა აფხაზეთში დიდ რისკთანაა დაკავშირებული. ისტორია სათანადოდ შეაფასებს თავდადებას იმ ადამიანებისა, რომლებიც ქართული საქმის კეთებისას საფრთხეში იგდებენ თავს.

1994 წლიდან 2008 წლის ჩათვლით, აღდგენილი სკოლების კურსდამთავრებულებს, სკოლებიდან მიღებული განაცხადებისა და საჭირო სასკოლო დოკუმენტაციის საფუძველზე, ეძლეოდათ ქართული ატესტატები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №147 ბრძანების შესაბამისად, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტუ-



რის სამინისტრო წარმართავს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს. ამ აღიარების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კურსდამთავრებულებზე გასცემს ქართულ ატესტატებს.

საქართველოს განათლების რეფორმის ფარგლებში პედაგოგთა მომზადებას სასერთიფიკაციო გამოცდებისთვის, კვალიფიცირებული კადრებით სკოლების უზრუნველყოფას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გალელი პედაგოგებისთვისაც 2009-2010 წლებში გამოყო ვაუჩერები და მისცა მათ პროფესიული მომზადების შესაძლებლობა. ამ ვაუჩერით ისარგებლა და სხვადასხვა პროვაიდერ ორგანიზაციაში („ასოციაცია „მშვიდობა და განათლება“, „საქართველოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი“, „ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაცია,“ „მათემატიკის მასწავლებელთა ასოციაცია“ და სხვა) ტრენინგი გაიარა ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, უცხო ენების, დაწყებითი კლასების 579- მა მასწავლებელმა. მათ შორის 410-მა პროფესიულ უნარებში, 169-მ – საგნობრივი.

განსაკუთრებული ყურადღება, საქართველოს სხვა რეგიონების მასწავლებლებთან ერთად, მიექცა გალის რაიონის მასწავლებელთა და მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობაზე ზრუნვას. 2008 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მათ უზრუნველყოფს სადაზღვევო ვაუჩერებით.

მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლების, მათი თანამედროვე მოთხოვნათა შესატყვისად მომზადების, ქართულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების მიზნით ოკუპირებული გალის რაიონის მასწავლებლებს ჩაუტარდათ და

უტარდებათ ასევე, სხვადასხვა სახის ტრენინგიც. ამ მიმართულებით განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს. პროფესიულ საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისათვის რამდენიმე პედაგოგს მიენიჭა „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სიგელი“, „საქართველოს წარჩინებული მასწავლებლის“, „წლის წარჩინებული მასწავლებლის“ ნოდება, არიან საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტებიც.

რეგულარულად იმართება აფხაზეთის მასწავლებელთა კონფერენციები, სადაც მნიშვნელოვანი დრო ოკუპირებულ გალის რაიონში ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლებას, მასწავლებელთა და მოსწავლეთა უფლებების დარღვევას ეთმობა.


მასწავლებლებმა ტრენინგებთან დაკავშირებით გალის რესურსცენტრს გამოუგზავნეს მრავალი წერილი, რომლებშიც განსაკუთრებული სიმძაფრით შეიგრძნობა სამშობლოსგან დროებით მოწყვეტით გამოწვეული ტკივილი, საოცარი შემართება და იმედი, იმედი ქვეყნის გამთლიანებისა. ერთ-ერთ მათგანში ამოვიკითხეთ: „ნებისმიერი აქცია, დედასაქართველოდან ჩვენკენ მომართული, აქ აღიქმება, როგორც დიდი ბედნიერება და სიხარული, რომელსაც ძალუძს ოდნავ მაინც შეანელოს სამშობლოსგან მოწყვეტით გამოწვეული სულიერი ტკივილი. თქვენი ყურადღება და თანადგომა იმედს გვისახავს, რომ ჩვენში არასოდეს ჩაკდება ქართული სული. აქ, ამ ძირძველ სამურზაყანოში დიდი რწმენაა ქვეყნის გამთლიანებისა. ამ რწმენას თქვენ გვიძლიერებთ. ოღონდაც ზურგი გაგვიმაგრეთ და ჩვენ, მასწავლებლები და მოსწავლეები – უიარალოდ დარჩენილი ჯარისკაცები, სიცოცხლის ბოლომდე ვიბრძობებთ მშობლიურ აფხაზეთში ქართული სულისკვეთების შენარჩუნებისათვის.“

აფხაზური ადმინისტრაცია კურსდამთავრებულებს წლების განმავლობაში უწევს აგიტაცია-პროპაგანდას და აფხაზეთის უნივერსიტეტებსა („აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, „სოხუმის ღია უნივერსიტეტი“) და რუსეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდ ჩარიცხვასა და უფასოდ სწავლას პირდება. ასეთი შემთავაზებების, მშობლიურ ენაზე სწავლის აკრძალვის, სასწავლო პროგრამებში არსებული სხვაობის, საოკუპაციო და სეპარატისტული რეჟიმის უმკაცრესი მოთხოვნების, უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, კურსდამთავრებულები და სკოლადამთავრებულები მაინც გადმოდიან ენგურს აქეთ და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებისა და საერთო კონკურსში მონაწილეობის შედეგად ირიცხებიან საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს საოკუპაციო რეჟიმის ჩარჩოებში მოქცეული ქართველების შემართებას ქართველობის შესანარჩუნებლად.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2005 წლიდან, ოკუპირებული გალის რაიონიდან აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულები, სოციალური გრანტის ფარგლებში ფინანსდებიან სახელმწიფო სასწავლო გრანტით.

2005-2010 წლებში ერთიანი ეროვნული გამოცდები 1773 კურსდამთავრებულიდან ჩააბარა 972-ზე მეტმა აბიტურიენტმა. მათ შორის ჩაირიცხა და სოციალური გრანტი მიენიჭა 475 -ს.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ნათლად ასახავს ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელი საზღვრების სკოლების კურსდამთავრებულთა, აბიტურიენტთა და გრანტმინიჭებულთა რაოდენობას.



ეროვნული გამოცდების ჩაბარების მიზნით გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრში 2011 წლის 14 თებერვლიდან 25 მარტის ჩათვლით 198 გალეელი კურსდამამთავრებელი და სკოლადამთავრებული დარეგისტრირდა.

აბიტურიენტების წარმატებებში, გალელ მასწავლებლებთან და მშობლებთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვის ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრს. ამ ცენტრის გუნდი ყოველწლიურად ხვდება ენგურგალმელ აბიტურიენტებს ზუგდიდსა და თბილისში და აწვდის გამოცდებთან დაკავშირებულ სიახლებს, სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს უტარებს კონსულტაციებს, აბიტურიენტებს უფასოდ გადასცემს სავალდებულო და არჩევითი საგნების კრებულებს, მასწავლებლებს – სახელმძღვანელოებს სასერთიფიკაციო გამოცდებისათვის მოსამზადებლად.

აბიტურიენტთა მომზადების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 2005-2008 წლებში საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო და ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტების ბაზაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩამოყალიბებულმა მოსამზადე-

ბელმა განყოფილებებმაც, სადაც აბიტურიენტები ცოდნასთან ერთად სტიპენდიებსაც ლეზულობდნენ ჯერ 50, შემდეგ 100 ლარის ოდენობით.

განსაკუთრებით შედეგიანი გამოდგა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ ზუგდიდში, აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბებული ოკუპირებული ზონის აბიტურიენტების მოსამზადებელი ცენტრი. ეს ცენტრი 2006 წლიდან ფუნქციონირებს და ყოველწლიურად, 4 თვის განმავლობაში უფასოდ ამზადებს აბიტურიენტებს სავალდებულო და არჩევით საგნებში.

გარდა აბიტურიენტებისა, ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების სხვა ასაკის მოსწავლეებსაც საკმაოდ მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ მოპოვებული. ისინი მონაწილეობენ ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, სპორტულ, ინტელექტუალურ, შემოქმედებით შეჯიბრებებში; სწავლაში წარჩინებულნი ჯილდოვდებიან ოქროსა და ვერცხლის მედლებით, ღონისძიებებში გამარჯვებულნი-სიგელებით და სხვა საჩუქრებით.

ნიშანდობლივია, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები აფხაზეთა და ქართველთა შორის ჩატეხილი ხიდის გამრთელებათვით ზრუნავენ.

წინამდებარე ნაშრომით შევეცადეთ პარალელები გაგვევლო შორეული წარსულის და დღევანდელი რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკის მიმდინარეობაზე ოკუპირებული აფხაზეთის გალის რაიონში, მოსახლეობის შემართებაზე ქართული სულისკვეთების შენარჩუნებისათვის და საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან დაწყებული მიზანმიმართული რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკა ოკუპირებულ აფხაზეთში, კერძოდ, ისტორიულ სამურზაყანოში-გალის რაიონში, ომის შემდეგ წარმატებით გრძელდება. ეს პოლიტიკა არ ემსახურება

აფხაზეთში დარჩენილ ქართველთა და აფხაზთა კეთილდღეობას, მათი მშობლიური ენის შენარჩუნება-განვითარებას, პირიქით, არღვევს ქვეყნის მთლიანობას და ადამიანთა უფლებებს – მშვიდობიანად და თავისუფლად იცხოვრონ, ისწავლონ და იღვანონ მშობლიურ აფხაზეთში.

## თეიმურაზ გვანცელაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

### აფხაზეთი და რუსული იმპერიული პოლიტიკა

თანამედროვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია რუსეთის იმპერიის სერიოზული დაინტერესების საგნად XIX საუკუნის დასაწყისში იქცა, როცა მის მიერ უკვე დაპყრობილი აღმოჩნდა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები. **იმპერია იმ დროს აფხაზეთს განიხილავდა როგორც საქართველოს განუყოფელ ნაწილს და სწორედ ამით ამართლებდა თავის პრეტენზიას აფხაზეთის სამთავროზე**, თუმცა რუსეთს ჰყავდა ძლიერი კონკურენტი ოსმალეთის სახით, რომელიც ამავე რეგიონს ასევე საქართველოს ნაწილად მიიჩნევდა, საქართველოს კი – თავის “კანონიერად კუთვნილ” ტერიტორიად. სწორედ ოსმალეთის პრეტენზია, ინგლის-საფრანგეთის მხარდაჭერა ამ უკანასკნელისადმი და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა მედგარი წინააღმდეგობა რუსეთს აიძულებდა, დროებით გადაედო აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავროთა გაუქმება და თავის შემადგენლობაში შეყვანა. ამით იყო განპირობებული ის, რომ აფხაზეთის სამთავრომ 1864 წლამდე, ე.ი. რუსეთ-კავკასიის ომის დასრულებამდე იარსება, ხოლო მისი “დამოუკიდებლობა” ნომინალური იყო.

1810-1864 წლებში აფხაზეთის სამთავროს **თავისუფლების მინიმალურობის** მაჩვენებელი მრავალი ფაქტის დასახელება შეიძლება. მაგალითად, სწორედ ამის მანიშნებელია ის, რომ სამთავროში შეყვანილ იქნა რუსული სამხედრო კონტიგენტი, რომელიც იმპერიისათვის აუცილებელ შემთხვევებში გამოიყენებოდა ადგილობრივი მოსახლეობის დასასჯელად და მასზე მკაცრი კონტროლის დასამყარებლად, მთავრის ოჯახის ნევრთა შორის ურთიერთობის რუსეთის სასარგებლოდ წარსამართავად და ა.შ. მოგვიანებით, როცა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ჩერქეზებმა (ადილელებმა და ყაბარდოელებმა)

უბიხებთან ერთად მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს იმპერიას და თავდაუზოგავად იბრძოდნენ თავისუფლების შესანარჩუნებლად, რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა, აფხაზეთის მთავრის დახმარებით მოეპოვებინა სადაზვერვო ინფორმაცია ჩერქეზთა და უბიხთა შესახებ, მთავარი კი იძულებული იყო, უსიტყვოდ შეესრულებინა ეს დავალება. გარდა ამისა, **იმპერია აფხაზეთს იყენებდა პლაცდარმად იმავე ჩერქეზთა და უბიხთა წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციების განსახორციელებლად**, რითაც მთავარი მიზნის მიღწევასთან ერთად ქმნიდა დაპირისპირებას ჩერქეზ-უბიხთა და აფხაზთა შორის, თესავდა მათ შორის უნდობლობასა და მტრობას.

იმპერიის ხელისუფლება ხედავდა, რომ იმ ეტაპზე აფხაზი ხალხი კეთილმეზობლურ ურთიერთობაში იყო ქართველობასთან. მეტიც, აფხაზური არისტოკრატია საკუთარ თავს ქართული კულტურული და პოლიტიკური სამყაროს განუყოფელ ნაწილადაც კი მიიჩნევდა; აფხაზების უმრავლესობას მჭიდრო ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდა ქართველებთან (ხშირი იყო შერეული ქორწინება, მორდუობა-ძუძუმტეობა, ნათელმირონობა...); ქრისტიან აფხაზთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ რეგიონში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირები, რომელთა უმრავლესობამ კარგად იცოდა აფხაზური ენა და პატივს სცემდა აფხაზურ ადათ-წესებს; აფხაზეთის მთავრის კანცელარია იმპერიის ხელისუფლებასთან მიმონერას ქართულ ენაზე აწარმოებდა; აფხაზური თავადაზნაურობა ყმანვილობიდანვე ეცნობოდა და სწავლობდა უმდიდრეს ქართულ ლიტერატურას და ა.შ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზი ხალხი ქართველების მიმართ იმდენად დიდ სიახლოვეს გრძნობდა, რომ 1819 წლის ზაფხულში, როცა იმერეთში იფეთქა ანტიიმპერიულმა აჯანყებამ, აფხაზებმა რვაჯერ გამართეს სახალხო კრებები, რომლებზეც განიხილებოდა აჯანყებულთათვის სამხედრო მხარდაჭერის საკითხი, რამაც იმპერიის ხელისუფლება ძალიან



დააფრთხო (ნარკვევები 2007, გვ. 225). სხვა მაგალითი: როცა 1832 წელს ქართველმა ინტელიგენციამ დაიწყო რუსეთის უღლისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის შეთქმულების მზადება, მათ მხარს უჭერდნენ აფხაზი თავადებიც, რომლებიც მზადყოფნას გამოთქვამდნენ საიმისოდ, რომ აჯანყების დაწყებისას გამოეყვანათ აფხაზებიც და ქართველებთან ერთად გაეთავისუფლებინათ საქართველო რუსი დამპყრობლებისაგან. ამგვარი ფაქტები უცნობი არ დარჩენილა ცარიზმისათვის, რომელიც შეუდგა იმაზე ზრუნვას, თუ როგორ წაეხდინა ურთიერთობა აფხაზებსა და ქართველებს შორის, რათა მათ შორის ჩამოეგდო უნდობლობა და მოესპო ამ ორი მოძმე ხალხის თანამშრომლობის საფუძვლები. სამწუხაროდ, ჯერ ცარიზმის რეჟიმმა, შემდგომ საბჭოთა ხელისუფლებამ და ამჟამინდელი რუსეთის ფედერაციის მმართველობამ მოახერხეს XIX საუკუნის პირველ ნახევარში შემუშავებული პროვოკაციული გეგმის ძირითადი ნაწილის განხორციელება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამივე რუსული რეჟიმი აღნიშნული გეგმის განხორციელებისას დროდადრო ტაქტიკურ მანევრებსაც ახორციელებდა და მოჩვენებით დათმობაზეც მიდიოდა, რათა მოიარებით ევლო დასახული მიზნისაკენ.

მაგალითად, XIX საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავრო სახლებს შორის სერიოზულ დაპირისპირებას იწვევდა სამურზაყანოს კუთვნილების საკითხი. დაპირისპირება ამ ნიადაგზე სათავისოდ გამოიყენა ცარიზმმა. 1818 წლის მაისში გენერალ-მაიორ ი. კურნატოვსკის შუამავლობით გიორგი შარვაშიძემ და ლევან V დადიანმა დადეს შეთანხმება, რომლის ძალითაც სამურზაყანო მდ. ღალიძგამდე სამეგრელოს სამთავროს საკუთრებად გამოცხადდა (ნარკვევები 2007, გვ. 224). 1827 წელსაც დაიდო ასეთივე შეთანხმება ლევან V დადიანსა და მიხეილ შარვაშიძეს შორის (ნარკვევები 2007, გვ. 245), რითაც აღდგა ისტორიული სამართლიანობა, მაგრამ მოგვიანებით, 1839 წელს მიხეილ შარვაშიძემ კვლავ განაცხადა პრეტენზია ამ მხარეზე.

იმპერიამაც არ დააყოვნა, სამურზაყანო ჩამოაჭრა სამეგრელოს სამთავროს და მიუერთა ქუთაისის გუბერნიას საბოქაულოს სახით. ამ ნაბიჯით ცარიზმმა, ერთი მხრივ, ვადაზე ადრე შეიერთა ეს მხარე, მეორე მხრივ, შეინარჩუნა დაძაბულობა მხარეებს შორის, მესამე მხრივ კი ადმინისტრაციული საზღვრის დაწესებით ბარიერი აღმართა სამურზაყანოელ ქართველთა და აფხაზთა შორის, რაც ხელს შეუშლიდა მათ ერთობლივ ბრძოლას დამპყრობლის წინააღმდეგ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როცა რუსეთს აფხაზეთის სამთავრო სჭირდებოდა პლაცდარმად ჩერქეზ-უბიხთა წინააღმდეგ წარმოებულ ომშიც და ოსმალეთისაგან მოსალოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლადაც, აქცენტი გადატანილ იქნა აფხაზეთში ქრისტიანული რელიგიის აღდგენის საკითხზე. იმ დროისათვის აფხაზთა უმრავლესობა თავს მაჰმადიანად მიიჩნევდა, რაც, იმპერიის მესვეურთა აზრით, ქმნიდა აფხაზთა მხრიდან ოსმალეთისა და ჩერქეზ-უბიხთა მხარდაჭერის საშიშროებას. ამიტომ საჭიროდ იქნა ცნობილი აფხაზეთში მისიონერული მუშაობის ფართოდ გაშლა, მაგრამ იმის გამო, რომ რუსული სამღვდელოება არ იცნობდა რეგიონის სპეციფიკას, აფხაზურ ადათ-წესებს, არ ფლობდა აფხაზურ ენას, გადაწყდა, ამ მიზნით გამოეყენებინათ ქართველი სასულიერო მოღვაწენი, რომელთა შორის ბევრი იყო აფხაზური ენისა და ადათ-წესების კარგად მცოდნე (გვანცელაძე, ტაბიძე, შეროზია, ჭანტურია 2001; გამახარია 2005, გვ. 363-398).

ქართველმა სასულიერო მოღვაწეებმა პირნათლად მოიხადეს ვალი ღვთისა და აფხაზი ხალხის წინაშე: XIX საუკუნის განმავლობაში ათეულობით ქართველმა მისიონერმა ათასობით აფხაზი მონათლა და როდესაც 1867-1869 და 1877-1878 წლებში ცარიზმმა დაიწყო მაჰმადიან აფხაზთა მასობრივი გაძევება თურქეთში, მუჰაჯირობის მწარე ხვედრისაგან და **ფიზიკური განადგურებისაგან გადაარჩინეს** მათგან მონათლული ათასობით აფხაზი (გამახარია 2005, გვ. 450-462). ქართველი სამღვდელოების ასეთი დამსახურება შეუმჩნეველი არ დარჩე-

ნია მოძმე აფხაზ ხალხს, რომელიც მადლიერებითა და სიყვარულით პასუხობდა ქართველ სასულიერო მოღვაწეებს, მაგრამ არც იმპერიის მესვეურებს გამოჰპარვიათ ის ფაქტი, რომ აფხაზთა შორის ქართველი სამღვდელოების ავტორიტეტის ზრდა სახიფათო იყო მისი იმპერიული მიზნებისათვის – ამ ორი ხალხის დაახლოება და განსაკუთრებით ქართული ენის მასობრივად გავრცელება აფხაზთა შორის დააბრკოლებდა აფხაზეთის მოსახლეობის დაგეგმილ გარუსებას.

**შენიშვნა:** სხვათა შორის, საყურადღებოა, რომ თუ ცარიზმის ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა აფხაზეთში ქრისტიანობის აღდგენას და საამისოდ არანაირ ხარჯებს არ ერიდებოდა, სრულიად პოლარული იყო მისი დამოკიდებულება საქართველოს იმ მხარეთა მიმართ, სადაც მაჰმადიანი ქართველები ცხოვრობდნენ. აჭარის, მესხეთ-ჯავახეთის, ტაოკლარჯეთის შემოერთების შემდეგ იმპერიას საერთოდ არ უზრუნია ადგილობრივი მოსახლეობის გასაქრისტიანებლად, მეტიც, ამ მხარეებში მაჰმადიანები და გრიგორიანელები უფრო დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ, ვიდრე მართლმადიდებელი ქრისტიანები, რაც, ერთი შეხედვით, აუხსნელად გამოიყურება “ახალი ბიზანტიის” როლს ნაპოტინებული მართლმადიდებელი ქვეყნისათვის. მაგრამ ამ “ალოგიკურობის ლოგიკა” იოლად აიხსნება, თუ გავითვალისწინებთ შემდეგს:

რუსეთ-კავკასიის ომის დასრულების მოახლოებამდე რუსეთს აფხაზეთის ტერიტორიაც სჭირდებოდა და მოსახლეობაც, ოღონდ ეს მოსახლეობა **რელიგიურად განსხვავებული უნდა ყოფილიყო მეზობელი მაჰმადიანი ჩერქეზ-უბიხებისა და თურქებისაგან**, რათა რელიგიურ ფაქტორს არ განეპირობებინა მათი ურთიერთმხარდაჭერა, ხოლო 1878 წელს შემოერთებული აჭარა, მესხეთ-ჯავახეთი და ტაოკლარჯეთი, აფხაზეთისაგან განსხვავებით, უშუალოდ ემეზობლებოდა რუსეთის დაუძინებელ მტერს თურქეთს, საიდანაც სამხედრო ინტერვენციის საფრთხე ნებისმიერ მომენტში იყო მოსალოდნელი,

ომის შემთხვევაში კი მაჰმადიან მოსახლეობას შეეძლო იარაღით დაეჭირა მხარი ოსმალეთისათვის. ამიტომ ცარიზმმა, როგორც ჩანს, ამჯობინა დრო და თანხა არ დაეხარჯა მაჰმადიანთა გაქრისტიანების ხანგრძლივ აქციაზე და ამჯობინა მათი დიდი ნაწილის გაძევება თურქეთში, ხოლო დარჩენილთა მიმართ ლოიალობის გამოჩენა, მით უმეტეს, რომ აქვე მასობრივად ჩამოსახლა რუსეთის უსაზღვროდ ერთგული სომხები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში საზარბაზნე ხორცადაც გამოადგებოდნენ მაჰმადიანთა მიმართ მათი დიდი სიძულვილის ფაქტორის გამოყენებით.

აფხაზთა და ქართველთა ერთიმეორისაგან ჩამოსაშორებლად ცარიზმმა საგანგებო ყურადღება დაუთმო აფხაზური ენისათვის დამწერლობის შექმნის, აგრეთვე ქრისტიანული ღვთისმსახურებისა და განათლების ენის საკითხებს. იმის გამო, რომ აფხაზური ენა XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე უდამწერლობო ენა იყო, აფხაზები ყველა აუცილებელ შემთხვევაში იყენებდნენ ქართულ სამწიგნობრო ენას, რაც თავისთავად იწვევდა აფხაზთა მოქცევას ქართულ კულტურულ ველში და განაპირობებდა ორი მოძმე ხალხის იდეურ დაახლოებას, რაც ცარიზმისთვის სრულიად მიუღებელი იყო. ცარიზმი თავიდან არც ღვთისმსახურებისა და განათლების სფეროებში აფხაზური ენის გამოყენების მომხრე იყო და ამას აფხაზურ ენაზე დამწერლობის არარსებობის ფაქტით ამართლებდა. მაგრამ იმპერიის იდეოლოგები იმასაც ხედავდნენ, რომ რეგიონში რუსული ენის გავრცელება იმ პირობებში, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი უწიგნური რჩებოდა, შეუძლებელი იყო. იმპერიის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი პლატონ ზუბოვი XIX საუკუნის 30-იან წლებში შედგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში წერდა, რომ კავკასიელ მთიელთა დაშოშმინებისათვის აუცილებელი იყო ყოველ სოფელში შესანიშნავი ეკლესიის აგება, “ეკლესიებთან უნდა მოენწყოს სასწავლებლები რუსული ენის სასწავლებლად და თუნდაც დასაწყისისათ-

ვის ღვთისმსახურება მათში უნდა ხდებოდეს მთიელთა ენაზე, მაგრამ თანდათანობით საქმე იქამდე უნდა მივიდეს, რომ მათ უარი თქვან საკუთარ კილოკავებზე და გაეცნონ რუსულ ენას, რომელიც მათი მემკვიდრეებისათვის უკვე გაბატონებული ენა იქნება, ვინაიდან მათი ნაირგვარი კილოკავები, რომლებსაც არა აქვთ დამწერლობა, იოლად მიეცემა დავინყებას” (გამახარია, გოგია 1997, გვ. 309). საყურადღებოა, რომ პ. ზუბოვის ეს “მეთოდი” მცირეოდენი ცვლილებებით ინტენსიურად გამოიყენებოდა არა მარტო ცარიზმის, არამედ საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც და ასევე ინტენსიურად გამოიყენება ამჟამადაც როგორც რუსეთის ფედერაციის შემადგენელ რესპუბლიკებში, ისე რუსეთის მიერ ოფიციალურად აღიარებულ “დამოუკიდებლობააღდგენილ” აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონშიც. პ. ზუბოვის “მეთოდში” შეიცვალა მხოლოდ ის, რომ საბჭოთა რეჟიმმა ეკლესიებზე საერთოდ უარი თქვა და დააარსა ე.წ. ეროვნული სკოლები, რომლებიც სწავლების სამი საფეხურისაგან შედგებოდა:

პირველ საფეხურზე, რომელიც საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში 4-წლიანი იყო, ნებადართული იყო შესასწავლი საგნების უმრავლესობის სწავლება დედაენაზე, ოღონდ პარალელურად გაძლიერებით ასწავლიდნენ რუსულ ენას. სკოლის მეორე და მესამე საფეხურებზე ყველა საგანი ისწავლებოდა მხოლოდ რუსულ ენაზე, გარდა ორი დისციპლინისა: ეროვნული ენისა და ეროვნული ლიტერატურისა (საქართველოში ამ ტიპს განეკუთვნებოდა ე.წ. აფხაზური და ოსური სკოლები). **სკოლის ამგვარი მოწყობა რეალურად იწვევდა კავკასიელ მთიელთა, მათ შორის აფხაზთა და ოსთა მასობრივ დენაციონალიზაციასა და გარუსებას.**

დაისმის ლოგიკური კითხვა: **თუკი აფხაზი და ოსი ხალხები მართლაც იბრძოდნენ რეალური დამოუკიდებლობისათვის და მათ არ იყენებდა/არ იყენებს რუსეთი სათავისოდ, რატომღა არ შეცვალეს მათმა ფსევდოეროვნულმა ლიდერებმა ჯერ კიდევ**

**ცარიზმის მიერ შექმნილი მანკიერი მადენაციონალიზებული და რუსიფიკატორული სასკოლო განათლების სისტემა, რომელიც ნამდვილად არ ემსახურება აფხაზი და ოსი ხალხების ჭეშმარიტ ეროვნულ ინტერესებს?**

პასუხი მარტივია: სოხუმისა და ცხინვალის რეჟიმები რეალურად რუსული საოკუპაციო რეჟიმებია და უსიტყვოდ ასრულებენ თავიანთი მოსკოველი შეფების მკაცრ მითითებებს. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სასკოლო განათლების ჭეშმარიტად ეროვნულ ნიადაგზე გადაყვანა მყისიერად გამომიწვევს ჯაჭვურ რეაქციას არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ რუსეთის ფედერაციის უკლებლივ ყველა სუბიექტში (ყოფილ ავტონომიებში), რაც რუსეთისათვის ყოვლად მიუღებელია, ვინაიდან მას უარი არასოდეს უთქვამს ეროვნულ უმცირესობათა მოსპობა-ასიმილაციის პოლიტიკაზე (გავიხსენოთ არცთუ ისე შორეული წარსულის ზოგი მეტად ნიშანდობლივი ფაქტი: ორი ხანგრძლივი და გამანადგურებელი ომი ჩეჩნეთში; ინგუშთა გენოციდის პოლიტიკის განხორციელება; ბესლანის სისხლიანი ტრაგედია, როცა ე.წ. სამართალდამდაცავებმა 300-მდე ბავშვი და ქალი დახოცეს და სხვ.).

ცარიზმის ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გეოსტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი აფხაზეთის კოლონიზაციის საკითხს. მას სრულებითად არ სჭირდებოდა ადგილობრივი მოსახლეობა, მისთვის მთავარი იყო ტერიტორია და მასზე ჩამოსახლებული იმპერიისადმი ლოიალურად განწყობილი კოლონისტები. იმპერიის იდეოლოგები არ მალავდნენ საკუთარ მზაკვრულ გეგმებს ამ საკითხთან დაკავშირებით. რუსი მოხელეები და სამხედროები უკვე XIX საუკუნის პირველ ნახევარში აყენებდნენ წინადადებებს აფხაზეთში კოლონისტთა ჩასახლების აუცილებლობის შესახებ, მაგრამ ხელისუფლება ამგვარი ნაბიჯის გადადგმისაგან თავს იკავებდა, თუმცა ხელსაყრელ მომენტს თუ ჩაიგდებდა, უკან აღარ იხევდა. მაგალითად, 1841 წლის იანვარში რუსულმა ჯარმა სისხლში ჩაახშო დალისა და ნებელის მოსახლეობის

ანტირუსული აჯანყება. ამ ოპერაციის შესახებ გენერალი ე. გოლოვინი გრაფ ა. ჩერნიშოვს ცინიკურად სწერდა:

“...ორ კვირაში დალი სრულებით **დაპყრობილი, გაცამტვერებული და მოსახლეობისაგან დაცლილია** და ეს ყველაფერი 10 მოკლულად და 20 დაჭრილად, მათ შორის მხოლოდ 6 რუს ჯარისკაცად დაჯდა... რაც შეეხება პოლკოვნიკ მურავიოვის აზრს დალის რუსებით დასახლების შესახებ, ამას ჯერ კიდევ სჭირდება დიდი ყურადღებით განსჯა...” (გამახარია, გოგია 1997, გვ. 318).

როგორც ვხედავთ, იმპერიამ ამ ოპერაციით სამთავროს გაუქმებამდე 23 წლით ადრე “მოუსუფთავა” ადგილი მომავალ კოლონისტებს დალის თემის გაცამტვერებითა და მოსახლეობისაგან დაცლით. სამწუხაროდ, ამ ოპერაციაში მთავარი მიხეილ შარვაშიძეც მონაწილეობდა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მას მაშინ თავს ზევით ძალა არ შესწევდა სხვაგვარად მოქცევისათვის.

1864 წლის გაზაფხულზე რეალურად გამოიკვეთა, რომ იმპერია იმარჯვებდა ჩერქეზ-უბიხთა წინააღმდეგ მიმდინარე დაუნდობელ ომში და ცარიზმის ხელისუფლებაც შეუდგა აფხაზეთის მოჩვენებითი დამოუკიდებლობის ლიკვიდაციისა და მხარის კოლონიზაციის კონკრეტული გეგმების შედგენას. კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი ამასთან დაკავშირებით 1864 წლის 27 მარტს წერდა, რომ მთიელების, ე.ი. ჩერქეზ-უბიხთა საბოლოოდ დამორჩილებისა და მათგან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს “განმენდისთანავე” საჭირო იყო აფხაზეთის მთავრისა და მისი მემკვიდრის დათანხმება მართვის უფლებაზე უარის თქმაზე; “აფხაზეთისაგან შეიქმნას სამხედრო ოლქი (округ), რომელიც წებელდასთან ერთად უნდა დაემორჩილოს საგანგებო სამხედრო ხელმძღვანელს...” და “თუ თავისუფალი მიწების რაოდენობა მოგვცემს საშუალებას, ზღვის ნაპირზე, ენგურის შესართავთან დავაარსოთ კაზაკთა დასახლებანი, რომლებიც

მდ. ბზიფის გაყოლებით შექმნილ დასახლებებთან ერთად შეადგენდა აფხაზეთის კაზაკურ ჯარს (Абхазское казачье войско) აფხაზეთის სამხედრო განყოფილების უფროსის მმართველობით” (გამახარია, გოგია 1997, გვ. 333).

მართლაც, ამ წერილის დაწერიდან 2 თვეში აფხაზეთის მთავარი დააპატიმრეს და ვორონეჟში გადასახლეს, ხოლო რეგიონში დაიწყო **დემოგრაფიული კატასტროფა**: ჯერ 1867, შემდეგ კი 1877-1878 წლებში ათასობით აფხაზი აპყარეს აფხაზეთიდან და იძულებით გარეკეს ოსმალეთში, ხოლო მათ ნაბინავარზე დაასახლეს რუსები, უკრაინელები, სომხები, ბერძნები, ესტონელები, გერმანელები. არსებითია იმის აღნიშვნაც, რომ დასახელებული ორი მუჰაჯირობის შემდეგ **ადგილზე დარჩენილი აფხაზები მექანიკურად დააშორეს ერთმანეთს და შეიქმნა ორი აფხაზური რეზერვაცია: ბზიფისა და აბჟუისა**, რომლებიც გარშემორტყმული იყო ძირითადად კოლონისტური მოსახლეობით, რათა აფხაზებს არ ჰქონოდათ საშუალება გაერთიანებისა და იოლი ყოფილიყო არა მარტო მათი კონტროლი, არამედ გარუხებაც.

ბოლო მუჰაჯირობის (1877-1878 წწ.) შემდეგ ცარიზმის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებანი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, შედეგიანი აღმოჩნდა: **ერთ დროს თავისუფლებისმოყვარე აფხაზი ხალხი, რომელმაც მთელ კავკასიაში ერთ-ერთმა უკანასკნელმა იბრძოლა დამოუკიდებლობისა და ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად, სულ რაღაც 27-29 წლის შემდეგ, 1905-1907 წლების რევოლუციის დროს ცარიზმის იმდენად ერთგულ და სანდო ძალად იქცა, რომ იმპერატორმა საგანგებო რესკრიპტით მოუხსნა “დამნაშავე ხალხის” ოფიციალური სტატუსი და წარმატებით იყენებდა ქართული ეროვნული მოძრაობის საპირწონედ.**

ამის შემდგომ ჯერ ამიერკავკასიის სახელმწიფოს, მერე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისა და საბჭოთა პერიოდში მეტად იშვიათი იყო შემთხვევები, როცა აფხაზი მოღვაწენი მხარს უჭერდნენ ქართულ ეროვნულ ძა-



ლებს იმპერიის უღლისაგან გათავისუფლებისათვის ბრძოლაში და აქტიურად არ უჭერდნენ მხარს იმპერიულ პოლიტიკას.

საუბედუროდ, ასე გრძელდება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომაც, როცა აფხაზი ხალხის უმრავლესობა უსიტყვოდ მიჰყვება იმპერიის კარნახით მოქმედ ფსევდოაფხაზ “ლიდერებს”, რომლებსაც საცოდავი 30 ვერცხლი ურჩევნიათ ღვთის გზაზე სვლას. ამან აფხაზ ხალხს უკვე მოუტანა ბევრი სისხლი და ცრემლი, მაგრამ უარესი ის არის, რომ რუსეთის ამჟამინდელ ხელისუფლებას უარი არ უთქვამს ცარიზმისეულ მეთოდებზე და მასაც არაფრად სჭირდება აფხაზი ხალხი, სამაგიეროდ მეტად დაინტერესებულია გზაკვალარეულ აფხაზ ფსევდოლიდერთა გამოყენებით საქართველოს დაჩოქებით, აფხაზეთის მიწაზე თავისი სამხედრო ბაზების განთავსებითა და აფხაზეთის დარჩენილი მოსახლეობის უმოკლეს ვადაში გარუსებით, ანუ ყოველივე იმით, რითაც XIX საუკუნეში ასე “ისახელა თავი” ცარისტულმა რეჟიმმა. საკითხავია: კიდევ რამდენი უბედურება უნდა დაატეხოს თავს რუსეთმა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში უკვე არაერთხელ სასტიკად დასჯილ აფხაზებს, რომ მათმა ჭეშმარიტმა ლიდერებმა დაინახონ სწორი გზა?

### ლიტერატურა

1. გამახარია 2005 – ჯ. გამახარია. აფხაზეთი და ქრისტიანობა. თბილისი, 2005.
2. გამახარია, გოგია 1997 – Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Тбилиси, 1997.
3. გვანცელაძე, ტაბიძე, შეროზია, ჭანტურია 2001 – თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია. ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება. კრებულში: “ქართველური მემკვიდრეობა”, ტ. V. ქუთაისი, 2001.
4. ნარკვევები 2007 – ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი. უძველესი დროიდან დღემდე. თბილისი, 2007.

კომპიუტერული უზრუნველყოფა – ეკა გადილია



გამომცემლობა „უნივერსალი“

---

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)